ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შეიარაღებული თავდასხმის შედეგად 4 ახალგაზრდა დაჭრეს, მათ შორის მორაგბე ლაშა საჯაია

თბილისში შეიარაღებული თავდასხმის შედეგად 4 ახალგაზრდა დაჭრეს, მათ შორის მორაგბე ლაშა საჯაია. შემთხვევა ზემო ვეძისში მოხდა.

როგორც ცნობილია, დაჭრილებს შორის არის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი, მორაგბე ლაშა საჯაია. ოთხივე დაჭრილი სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 19-109-ე (განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში) და 236-ე (იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა ტარებას გულისხმობს) მუხლით მიმდინარეობს.

5 აპრილიდან

150 ამბავი

ნობელიანტი ფიზიკოსები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ოთხშაბათი, 11 აპრილი, 2018 | №84 (7629) | ფასი: 50 თეთრი

„ირაკლი კობახიძე ირაკლი ღარიბაშვილის ბედს გაიზიარებს“

გვ.3

„2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა – პორტირებული ნაცების წილი „ოცნებაში“ რაოდენობრივად გაიზარდა. ისინი მმართველი პარტიის 2/3-ს შეადგენენ. რაც ყველაზე მთავარია, მათ პარლამენტში წამყვანი პოზიციები უკავიათ“

გვ.2

ლევან ხაბეიშვილი: „ივანიშვილი კვირიკაშვილს დაემუქრა“

რა გაფრთხილება მისცა ყოფილმა პრემიერმა კახა კალაძეს

დემურ გიორხელიძე: „თუ დასჭირდებათ, ლარის ვარდნა იქნება“

გვ.5

ნუკრი ქანთარია: „ირაკლი კობახიძეს თანამდებობა მემკვიდრეობით არ მიუღია“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „მამუკა მდინარაძემ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეობა უნდა დატოვოს“

გვ.5

სამართალი

გვ.7

პეკინის ქუჩაზე სასტუმრებელ სახლში ცოლ-ქმარი გარდაცვლილი იპოვეს

სუიციდი გორში – ახალგაზრდა მამაკაცმა თავი ცეცხლსასროლი იარაღით მოიკლა

ავტომანქანის გატაცება და პოლიციის განყოფილებაში იარაღის მუქარით შეჭრა – დაკავებულია ერთი პირი

დედისა და ძმის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებულს 2 წლით და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა



ეკონომიკა

გვ.6

ტენდერებში გამარჯვებული და დამარცხებული კომპანიები ბიუჯეტის ფულს იყოფენ?!

თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების დამონტაჟებისთვის 316 266 ლარია გათვალისწინებული

სანქცირებული ბიზნესმენები დახმარებას რუსეთის ხელისუფლებაში ეძებენ

ISSN 1987-9385

2 რას აკეთებს სოსო ოხანაშვილი რუსეთში

4 ასლუნდი: „დასავლეთმა რუსი ოლიგარქების აქტივები უნდა გაყინოს“

5 პუტინის გარემოცვა რუსეთის გეოპოლიტიკურ მარტოობაზე ალაპარაკდა

4 სანდრო ბრეგაძე: „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არის ტყვეობაში“

ლევან ხაბეიშვილი: „ივანიშვილი კვირიკაშვილს დაემუქრა“

რა გაფრთხილება მისცა ყოფილმა პრემიერმა კახა კალაძეს

შორენა მარსაგიშვილი

ჰატომ გააქტიუჰდა მიხეიდ სააკაშვიდი, ჰაზე გაებუტა გედევან ფოფხაძე „ოცნებას", ჰატომ დაიჭიჰეს ჯაღაძის ახლობელი, ჰა შეუთვალა ივანიშვიდმა ხუხაშვიდის პიჰით ჯვიჰიკაშვიდს? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ნაციონალური მოძჰაობის ეჰთ-ეჰთი ღიდეჰი ღევან ხაბეიშვიდი ესაუბჰება.

– საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა. ადრე თუ უკრაინას უკავშირდებოდა მისი პოლიტიკური გეგმები, ახლა ძირითადად საქართველოზე საუბრობს. არის მოსაზრება, რომ ის აქ დასაბრუნებლად ემზადება. დაბრუნდება თუ არა სააკაშვილი და მოხდება თუ არა მისი დაპატიმრება, როგორც ამით მეოცნებეები იმუქრებიან?

– მიხეილ სააკაშვილის მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები სრულად ასახავს იმ სიტუაციას, რაც დღეს ქვეყანაშია. მესამე პრეზიდენტი საუბრობს საქმიანად. ამბობს, რომ პენსია და პოლიციელის ხელფასები უნდა გაიზარდოს. ის ბანკების აღვირახსნილობის ალაგმვის აუცილებლობაზეც საუბრობს. ამბობს, რომ ივანიშვილთან დაახლოებულმა ბანკირებმა ფაქტიურად გაღლიტეს ქართველი ხალხი.

მიშას სრულიად ადეკვატურ განცხადებებს „ქართული ოცნების“ მხრიდან არაადეკვატური დამოკიდებულება მოჰყვა. იმის მაგივრად, რომ ამ ადამიანის მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრის გზებზე ისაუბრონ, თქვეს, რომ სააკაშვილი თუ ჩამოვა, დაიჭერენ.

– დარწმუნებული ხართ, რომ მისი დამჭერები არიან?

– რისი დამჭერები არიან. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. მისი დაპატიმრება თუ უნდოდათ, თებერვალში ჰქონდათ ამის შანსი, როცა პოროშენკოს ბრძანებით სააკაშვილი თვითმფრინავში ჩასვეს, რატომ რეკავდნენ კიევში და იხვეწებოდნენ, ეგ თვითმფრინავი თბილისში არ გამოუშვათო.

დარწმუნებული ვარ, რომ პეტრო პოროშენკო მიხეილ სააკაშვილის საქართველოს დიდი სიამოვნებით გადმოსცემდა.

მიშას დაჭერა რომ არ უნდოდათ, ეს გასულ წელს პრანკერების მიერ გავრცელებული ჩანაწერებიდანაც გამოჩნდა. მაშინდელი შს მინისტრი, რომელსაც ეგონა, რომ არსენ ავაკოვს ესაუბრებოდა, იხვეწებოდა, სააკაშვილი საქართველოში არ გამოუშვათო. ეს კაცი ახლა თავისუფლად დადის, ევროპაში თავისუფლად გადაადგილდება და არაფერი ეტყობა, რომ ვინმე ეძებს.

ამ ფონზე მეოცნებეთა განცხადებები, რომ მიშას დაიჭერენ, ძალიან სასაცილოა. მიშას თუ დაიჭერენ, ამით ქვეყანა რას მიიღებს, პენსია გაიზრდება თუ პოლიციელების ხელფასი.

ასეთი სასაცილო განცხადებების გაკეთებას ურჩევნიათ, პრობლემების მოგვარების გზებზე იზრუნონ. განსაკუთრებით ახლა მეჩვენება მეოცნებეთა განცხადებები სასაცილოდ.

– ახლა რატომ არის მათი განცხადებები უფრო სასაცილო?

– თავად „ოცნებაში“ ჭამენ ერთმანეთს.

– „ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებზე რას ფიქრობთ – იშლებიან მარტივ მამრავლებად?

– მანდ სულ სხვა რაღაც ხდება. თქვენ რა გგონიათ, გედი ფოფხაძე მართლა ნინია კაკაბაძის გამო მიდის საპარლამენტო უმრავლესობიდან? სულ სხვა რამეზეა ეგ გაბრაზებული.

– რაზეა გაბრაზებული?

– რამდენადაც მე ვიცი, ბორჯომის მერის მოადგილედ უნდოდა თავის ძმის დანიშვნა. ქოცებისგან უარი მიიღო და გაბრაზდა. მაგათ ყველას პირადი ამბიციები აქვთ, თორემ „ოცნებაში“ ერთნაირი ღირებულებები რომ არა აქვთ, ეს ყველამ იცის.

„ქართული ოცნება“ არის მილიარდერის გარშემო გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი. ისინი ქვეყანას მოაჯდნენ და ბიუჯეტს, როგორც თავის ჯიბის ფულს, ისე უყურებენ. ახლა ისინი საკმაოდ შეშინებული არიან.

– რა აშინებთ?

– ქვეყანაში „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგო განწყობა ყოველდღე მატულობს. ქართველ ადამიანს ძალიან დიდი მოთმინება აქვს, მაგრამ რაღაცებს არ ჩაყლაპავს.

დარწმუნებული ვარ, რომ კვირიკაშვილის გუნდი არის დროებითი მთავრობა, რომელიც ძალიან მალე ჩამოშორდება ხელისუფლებას და პოლიტიკურ სანაგვეზე წავა. მათ არავინ და არასდროს აღარ გაიხსენებს.

ნაციონალებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს ხელისუფლებაში ყოფნისას, ამათ შემთხვევაში შეცდომებზეც არაა ლაპარაკი. „ოცნება“ არის კრიმინალების ბანდა, რომელიც ხელისუფლების სათავეში ქვეყნის საძარცვავად მოვიდა.

– კორუფციის ბრალდებით არაერთი ჩინოსანია დაკავებული. ახლო წარსულში კახა კალაძის და გიორგი კვირიკაშვილის ნათესავებიც დააკავეს. ეს რისი მანიშნებელია?

– ეს იმის მანიშნებელია, რომ შიგნით აქვთ სერიოზული ბრძოლები. მიდის კლანური დაპირისპირება. ის, რომ ვიღაცას კორუფციაზე იჭერენ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კორუფციას ებრძვიან სისტემურად. აქ გავლენების გადანაწილება მიმდინარეობს.

როცა ასეთი გადანაწილება მიდის, სწორედ მაშინ ხდება სხვადასხვა ჩინოსნების გაწირვა, რომლებიც მცირედად არიან კორუმპირებულები. ამ დაკავებებით ერთმანეთს სიგნალებს უგზავნიან.

– კვირიკაშვილს და კალაძეს ვინ და რა მესიჯი გაუგზავნა?

– მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ კვირიკაშვილი უკვე წარსულია. ის ძალიან მალე დაგვემშვიდობება. ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გახდება პრემიერი – გახარია, კალაძე, ღარიბაშვილი თუ ისევ კვირიკაშვილი. დღეს ქვეყანას მხოლოდ ერთი პატრონი ჰყავს და რა მნიშვნელობა აქვს, რომელ მოურავს დასვამს ბიძინა ივანიშვილი.

ის პრემიერებს, როგორც მარიონეტებს, ისე უყურებს და მათი გადაადგილებით ერთობა. დამჯერ ხელის ბიჭებს სხვადასხვა თანამდებობებზე აგზავნის. მან კვირიკაშვილს გაუგზავნა მესიჯი, რომ მისი დრო ამოიწურა და უნდა წავიდეს.

– კვირიკაშვილი ამბობს, რომ კაი ხანი არაფერი ემუქრება.

– მაგ განცხადებაზე საინტერესო შეფასება გააკეთა გია ხუხაშვილმა. თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ მან თავისი პოზიცია გაახმოვანა. ტვ პირველის ეთერში ხუხაშვილი კაი პრემიერივით იმუქრებოდა, კვირიკაშვილმა რბილად წასვლა არ მოინდომა და ახლა ნახავს, როგორია ხისტად წასვლაო.

ძალიან საეჭვოდ მოიქნია მუშტები ხუხაშვილმა. ის დღემდე ივანიშვილთან დაახლოებულ პირად ითვლება და მისგან აქვს ინფორმაციები.

– ივანიშვილის პოზიცია გაახმოვანა ხუხაშვილმა?

– მოდით, ასე ვთქვათ, მისი ეს განცხადება იყო ბიძინა ივანიშვილისგან წამოსული ექო, რომელიც თავის მხრივ ხუხაშვილის პირით დაემუქრა კვირიკაშვილს. მას გასაგებად მიანიშნეს, რომ წყნარად თუ არ წავა, რაც ამ წლებში იშოვა, სულ ძმრად ადენენ.

კალაძესთან დაკავშირებით მთლად ასე არ არის საქმე. თბილისის მერი დიდი მაფიოზია. მთლად ივანიშვილივით ნათლიმამა არ არის, მაგრამ არც ჩამოუვარდება. ჩემი აზრით, მათ შორისაც რაღაც დაპირისპირებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში სამტრედიაში მის ახლობელს არ დაიჭერდნენ და არც თბილისის საკრებულოს დეპუტატს გაუშვებდნენ ციხეში, რომელიც მერის გუნდის წევრი იყო.

ბიძინა ივანიშვილისგან თბილისის მერმაც მიიღო მესიჯი – ჭკვიანად თუ არ იქნება და მორჩილებაში ნარმანიას არ დაემსგავსება, მასაც წასვლა მოუწევს.

აშკარაა, რომ საქმე გვაქვს მაფიოზურ-კლანურ თამაშებთან. ამ თამაშშია ჩაფლული მთელი „ქართული ოცნება“. ხალხი და ქვეყანა ყველას დაავიწყდა.

რას აკეთებს სოსო ოხანაშვილი რუსეთში

შორენა მარსაგიშვილი

პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსი, სოსო ოხანაშვილი, კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. მისმა გვარმა პარლამენტში გამართულ დახურულ სხდომაზე გაიჟღერა. დახურულ სხდომაზე კანონმდებლები სუსის უფროსის მოადგილეს უსმენდნენ.

სოსო ოხანაშვილის შესახებ ბოლო დროს საზოგადოებას არაფერი სმენია. დაახლოებით ერთი წლის წინ ის საქართველოდან წავიდა. რაღაც პერიოდი ის მედიასთან კონტაქტობდა და რამდენიმე სკანდალური განცხადებაც გააკეთა.

სკანდალური იყო ციანიდის საქმეზე მის მიერ მიცემული ჩვენებაც. ჩვენება მან სასამართლოს სკაიპის მეშვეობით მისცა. ამ ჩვენების ფრაგმენტები რამდენიმე მედიასაშუალებამ გაავრცელა.

ოხანაშვილის განცხადებებს სერიოზული სკანდალი მოჰყვა. თუმცა ის მალევე მიივიწყეს.

ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსი გერმანიაში იყო. რამდენიმე თვის წინ უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოხანაშვილი რუსეთში იმყოფებოდა. მანვე გაასაჯაროვა ფოტოები, სადაც დაცვის ყოფილი უფროსი სანკტ-პეტერბურგის ბიზნესფორუმზეა გადაღებული.

მაშინ ასეთი განმარტება გაკეთდა, რომ ის რუსეთში ფორუმში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა. ახლა ირკვევა, რომ მას იქ სამსახური უშოვია და რუსი მაღალჩინოსნის დაცვის უფროსია.

ინფორმაცია ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა გაავრცელა. მისი თქმით, ოხანაშვილი სანკტ-პეტერბურგის მერიის მაღალჩინოსანს იცავს.

ამასთან დაკავშირებით ნადირაშვილმა დახურულ სხდომაზე სუსის უფროსის მოადგილესაც დაუსვა კითხვა. მისი პასუხი დეპუტატმა მხოლოდ იმიტომ ვერ გაახმოვანა, რომ სხდომა დახურული იყო.

– თავიდანვე ვერ ვხედავდი ამ მოსმენის დახურვის აზრს და იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ მიგვიღია ისეთი ინფორმაცია, რომელიც ანგარიშში არ იყო. მე ამ შეხვედრაზე დავინტერესდი, დამიდასტურებს თუ არა სუსის უფროსის მოადგილე ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსი დღეს დასაქმებულია და მუშაობს სანკტ-პეტერბურგის მერიის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის დაცვის უფროსად. რადგან შეხვედრა იყო დახურული, მე მხოლოდ ჩემი კითხვის გამოტანა შემიძლია თქვენთვის. ამ შეკითხვაზე მინდოდა პასუხი მიმეღო იმიტომ, რომ ადამიანთან გამოძიებას კითხვები ჰქონდა, ამიტომ მნიშვნელოვანია, დღეს ის სად აგრძელებს ცხოვრებას და საქმიანობას, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ნადირაშვილმა.

ამ თემაზე მედიასთან მოკლე კომენტარით შემოიფარგლა სუსის უფროსის მოადგილე გრიგოლ ლილუაშვილი.

მისი თქმით, ოხანაშვილის პეტერბურგის მერიაში მუშაობის შესახებ პრესიდან გავიგეთ, სუსს განსაკუთრებული ინტერესი მის მიმართ არ გააჩნია.

– ეს შეკითხვა დაისვა. რა თქმა უნდა, ეს ჩვენც პრესის მეშვეობით გავიგეთ. თუმცა, ამის თქმა დადასტურებულად არ შეგვიძლია. რამე განსაკუთრებული ინტერესი ჩვენს სამსახურს საქართველოს მოქალაქე ოხანაშვილის მიმართ არ გააჩნია. შესაბამისად, ჩვენ საჭიროდ არ ვთვლით, ამაზე რაღაც დამატებითი კვლევა-ძიება დავიწყოთ, – აღნიშნა ლილუაშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნუკრი ქანთარია: „ირაკლი კობახიძეს თანამდებობა მემკვიდრეობით არ მიუღია“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების" ნევრი, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი ნუკრი ქანთარია „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საპარლამენტო უმრავლესობის გუნდის შიგნით მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ნუკრი, პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რამდენიმე დეპუტატმა შეცდომა დაუშვა, მათ შორის თქვენც დაგასახელათ. როგორ შეაფასებთ „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე მოვლენებს? ეს არის ძველებისა და ახლების დაპირისპირება თუ პროცესები უფრო ღრმად არის წასული?

– არა, ეს არ არის არც ძველების და ახლების დაპირისპირება და არც მამათა და შვილთა დაპირისპირება. ეს არის განსხვავებული შეხედულებების არსებობა უმრავლესობაში, რაც კარგია. 80 კაცია, შეიძლება, მეტიც იყოს, ვისაც განსხვავებული აზრი აქვს. პარლამენტის თავმჯდომარემ ნაჩქარევი შეფასებები გააკეთა. მის განცხადებაში ავტორიტარული ნოტები გაისმა, რაც ძალიან ცუდია. ამიტომ მან თავის თავზე უნდა იმუშაოს. ის შემაკავშირებელი უნდა იყოს და არა სკოლის დირექტორის ფუნქციით გამოვიდეს. ჩვენ ავტორიტარიზმი და ეს ტონალობა 2012 წელს წარსულს ჩავაბარეთ. ეს ყველამ უნდა გაიგოს.

პრემიერ-მინისტრს, კახი კალაძეს ძალიან ამომწურავი და რაციონალური ხედვა ჰქონდათ ამ პროცესთან დაკავშირებით. მათ ამით აჩვენეს როგორც ცხოვრებისეული, ისე პოლიტიკური გამოცდილება. მათ თქვეს, რომ გუნდის თითოეული წევრი მნიშვნელოვანი არის. ამიტომ ვთქვი, რომ გამოუცდელობამ იჩინა თავი, როდესაც კობახიძეს ეს განცხადება გააკეთა.

– პოლიტიკურმა გამოუცდელობამ?

– დიახ. გარკვეული ეტაპების გარეშე, უცებ გახდა ის პარლამენტის თავმჯდომარე. ჯარისკაცი უცებ გენერალი რომ გახდეს! რაღაც პროცესები უნდა გაიარო, რომ გამოცდილება შეიძინო. ჯერჯერობით ამ პრობლემასთან გვაქვს საქმე. ჯერ განხეთქილების მაგვარი არაფერია, არის სხვადასხვა აზრები, შეხედულებები, რაც აბსოლუტურად მისაღებია, მეტიც, შესანარჩუნებელიც კია.

– უმრავლესობის დეპუტატი ჭიჭინაძე არ გამორიცხავს, რომ პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენების პროცესის ინიცირება მოხდეს, თუ პროცესები უფრო რთულ ფორმებს მიიღებს. თქვენ რას იტყვით?

– ყველაფერი ხდება. როგორ შეიძლება რამე გამორიცხო, პრემიერები გამოვიცვალეთ. არავის ანდერძით არ მიუღია თანამდებობა და მათ შორის, არც პარლამენტის თავმჯდომარეს. თუმცა, ამ ეტაპისთვის მე ნამდვილად გამოვრიცხავ ამას. მეტიც, მე კობახიძეს ვურჩევ, რომ ის უმრავლესობის შემაკავშირებელი გახდეს და თავისი პოზიციები შეცვალოს.

– თითქოს რამდენიმე დეპუტატი ტოვებს უმრავლესობას, მათ შორის, თქვენც. თუ ასეა, მაშინ საკონსტიტუციო უმრავლესობას კარგავს „ქართული ოცნება“. ადასტურებთ ამ ინფორმაციას?

– საკონსტიტუციო უმრავლესობა, ვფიქრობ, უკვე აღარ არის საჭირო. მეორე, ძალიან მარტივია დატოვება და გასვლა.

– თქვენ არსად წასვლას არ აპირებთ?

– ამ ეტაპისთვის არ ვაპირებ! იმიტომ, რომ ეს პარტია ჩვენი შექმნილია და ჯერ არის სათანადო რესურსი, რომ შიგნით ბევრი სასიკეთო ძვრა მოხდეს. თუ შევატყობ, რომ სხვა გზა აღარ იქნება და ჩემი წასვლით ქვეყანა გაბრწყინდება, მაშინ ამ გადაწყვეტილებას მივიღებ.

– საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა შალელაშვილმა შიდა პროცესებზე ისაუბრა და თქვა, ჩვენ მხოლოდ პულტზე ხელის მიმჭერები აღმოვჩნდითო. მაინც რამ გამოიწვია ეს პროცესები?

– პოლიტიკა კომპრომისების, აწონ-დაწონვის ხელოვნებაა. პროცესის თანამონაწილეები უნდა ვიყოთ. გუნდში საკითხის გატანის დროს დარწმუნება უნდა მოხდეს. ზოგს ამის დანაკლისი აქვს. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ გუნდში არის რესურსი, რომ ამ ყველაფრის შეჯერება მოხდეს. ამაში კატასტროფა ნამდვილად არაფერი არ უნდა იყოს. მე მაინც ამ პროცესს ცოცხალ პროცესს დავარქმევ.

– უმრავლესობის სხდომა იქნება მოწვეული, სადაც ეს საკითხები დადგება?

– დიახ, განხილვა უნდა იყოს. ამ სხდომაზე აუცილებლად უნდა იყოს გედი ფოფხაძეც, რომელმაც ემოციურად მიიღო ნაჩქარევი გადაწყვეტილება. თუმცა, მისი პოზიცია ჩემთვის მისაღები და გასაგებია ნინია კაკაბაძესთან დაკავშირებით, ქმედება კი ემოციური იყო. მან უმრავლესობა არ უნდა დატოვოს, ვფიქრობ, გუნდის შიგნით არის რესურსი, რომ ეს ყველაფერი დალაგდეს. მე მგონია, რომ პროცესები გამწვავებისკენ არ უნდა წავიდეს, ვნახოთ.

– ბატონო ნუკრი, მაინც რა იყო ამ პროცესის თავი, „ევროპულ საქართველოსთან“ ერთგვარი თანამშრომლობა?

– მთავარი არის ის, რომ განსხვავებული აზრები არსებობს. კაკაბაძე არავის გულზე არ ეხატება, მაგრამ ჩათვალეს, რომ სტრატეგიულად ეს იყო სწორი ნაბიჯი, მაგრამ გარკვეულ ნაწილს მიგვაჩნია, რომ არ იყო სწორი.

– თუ მხოლოდ ეს არის მიზეზი, ოპოზიციას ხომ ეკუთვნოდა ეს კვოტა?

– დიახ, მაგრამ ასეთი დათმობით შეიძლება, მერე მერაბიშვილი გამოვიდეს ციხიდან და მისი კანდიდატურაც დააყენონ სადღაც და თქვან, უმცირესობას კვოტით ეკუთვნის ეს ადგილიო. ამ ლოგიკით მერაბიშვილსაც უნდა დავუჭიროთ მხარი?! ასე ნელ-ნელა ჩვენ, „ქართული ოცნება“, დავშორდებით ჩვენს მხარდამჭერებს, ვინც ჩვენ

„არსად წასვლას არ ვაპირებ“

აგვირჩია და ნდობა გამოგვიცხადა. ეს არის მთელი ამ პროცესის მთავარი მიზეზი, სხვა არაფერი არ ხდება.

თუკი ჩვენი მხრიდან ეს არაპოპულარული ნაბიჯები ერთ ოჯახს მაინც გადაარჩენს, ერთ ადამიანს მაინც ანუგეშებს, მაშინ შეიძლება შენს თავზე, როგორც მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ, აიღო ასეთი არაპოპულარული ნაბიჯები, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ რაღაც ილუზია შექმნა, ეს არასწორია და გაუმართლებელი.

კახა კუკავა: „ირაკლი კობახიძე ირაკლი ღარიბაშვილის ბედს გაიზიარებს“

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, შესაძლოა, თანამდებობას დაემშვიდობოს. მის მიმართ გუნდში აშკარად უარყოფითი განწყობაა. კერძო საუბრებში დეპუტატები იმასაც აღიარებენ, რომ პარლამენტის რეალური თავმჯდომარე არა კობახიძე, არამედ ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილია.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, მაჟორიტარი დავით ჭიჭინაძე კობახიძეს ტონს უწუნებს. მას ძალიან არ მოეწონა, როგორ მოიხსენია კობახიძემ გედი ფოფხაძე. ამბობს, რომ სპიკერი უმრავლესობის უფროსი არაა და შესაძლოა ის პოსტიდან გადააყენონ.

– მე ვერ გავიზიარებ იმას, რომ გუშინ და გუშინწინ მოსული ადამიანები, რომლებიც მოვიდნენ „ქართულ ოცნებაში“, იმათმა არ გაიზიარონ პრემიერ-მინისტრის სულისკვეთება და რაღაცა პირადი კერძო სარგებელი მიიღეს ამ „ქართულ ოცნებაში“ ყოფნით და დღეს ვინც მათ ეს მიანიჭა, იმის გამო უპირისპირდებიან პრემიერს. პარლამენტის თავმჯდომარე, მე მგონი, არ არის ჩვენი უფროსი რა.

ის არის ჩვენ მიერ არჩეული ახალგაზრდა ადამიანი, რომელსაც ვენდობოდით მაგრამ ჩვენთვის ძალიან მიუღებელი გახდა ბოლოდროინდელი მისი განცხადებები თუნდაც ჩვენს კოლეგაზე, რომ ასეთი შეურაცხყოფილი ტონით მოიხსენიებს გედი ფოფხაძეს. გედი ფოფხაძეს საკმაოდ დიდი დამსახურება მიუძღვის „ქართულ ოცნებაში“ და ამიტომ ვამბობ, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

კითხვაზე, დააყენებს თუ არა პირადად ის ირაკლი კობახიძის გადადგომის საკითხს, ჭიჭინაძე ამბობს, რომ გამორიცხული არაფერია: „თუ ეს საკითხი დროულად არ გაჩერდება, გამორიცხული არაფერი არ არის“ – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

გუშინ საღამოს „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში საგანგებო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და ფრაქციების თავმჯდომარეები ესწრებოდნენ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ დეპუტატები ადასტურებდნენ, რომ საუბარი გედევან ფოფხაძის პარტიიდან გასვლა-დარჩენის საკითხს ეხებოდა.

– ერთი-ორი სიტყვა ითქვა გედევანის თაობაზე, მეტი არაფერი... სად ხედავთ დაპირისპირებას? – განაცხადა შოთა შალელიშვილმა.

მანვე არ დაადასტურა პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენების საკითხზე მსჯელობა და აღნიშნულ თემას ,,არასერიოზული“ უწოდა.

– ყოველგვარი იმპიჩმენტის საკითხს გამოვრიცხავ. ის მოცემულობა, რომელიც არსებობს, არის ადეკვატური იმ პოლიტიკური ძალთა განლაგების, რაც არის უმრავლესობაში. შესაძლებელია, არსებობდეს გარკვეული წინააღმდეგობა და ამ წინააღმდეგობების დაძლევის მექანიზმების შემუშავებაზე ვილაპარაკეთ, – განაცხადა გია ჟორჟოლიანმა.

* * *

ყოფილი დეპუტატი, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა კობახიძის შესაძლო გადადგომაზე ჯერ კიდევ ერთი წლის წინ საუბრობდა. გასული წლის გაზაფხულზე კანონმდებლები საჯაროდ განიხილავდნენ კონსტიტუციას. თბილისში გამართულ განხილვაზე ფილარმონიაში ახალგაზრდები შევიდნენ და კითხვების დასმას შეეცადნენ. კითხვები მიწის გასხვისებას შეეხებოდა.

ამ ფაქტმა სპიკერი წყობილებიდან გამოიყვანა, მან ახალგაზრდებს ყვირილი დაუწყო და სულ ბოლშევიკები უწოდა. ამას საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა „ოცნებაში“. რაღაც დროის მანძილზე სპიკერი საერთოდ გააქრეს არენიდან. კახა კუკავა მაშინ ამბობდა, რომ საუბარი იყო გერმანიაში მის ელჩად გაგზავნაზე.

„ახალ თაობასთან“ საუბარში კახა კუკავა აცხადებს, რომ „ოცნებაში“ სპიკერს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მისივე აზრით, თუ მისი გადაყენება გადაწყდება, ეს საკითხი კენჭისყრაზე არ დადგება.

– ამას გადაწყვეტს ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი კობახიძე ირაკლი ღარიბაშვილის ბედს გაიზიარებს. ყოფილი პრემიერი არც სპიკერს დაურეკავს პირადად, ვიღაცის პირით შეუთვლის, რომ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთოს.

ღარიბაშვილს ივანიშვილის დანაბარები მაია ცქიტიშვილმა გადასცა და უთხრა, რომ განცხადება დისკზე უნდა ჩაეწერა. ეს ჩანაწერი ივანიშვილმა ნახა და ამის შემდეგ მიაწოდეს ის ტელევიზიებს. კობახიძეც ასე დაგვემშვიდობება, – ამბობს კახა კუკავა.

„ოცნების“ შიგნით არსებულ ვითარებას ყოფილი დეპუტატი სერიოზულს და ფეთქებადსაშიშს უწოდებს.

– 2012 წლის 1 ოქტომბრამდე „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში ძირითადად ის ხალხი იყო, რომლებმაც ნაციონალების ხელისუფლება შეცვალეს. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2016 წლის ჩათვლით, „ოცნებაში“ ძალიან ბევრი პორტირებული ნაცი აღმოჩნდა. ეს მეოცნებეებს დიდად არ მოსწონდათ, მაგრამ ივანიშვილი ამბობდა, რომ ასეა საჭირო. მისი ავტორიტეტის გამო, თუ მართლა ეგონათ, რომ ასე იყო საჭირო, ბევრი პორტირებული ნაცი თავიანთ რიგებში მიიღეს.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა – პორტირებული ნაცების წილი „ოცნებაში“ რაოდენობრივად გაიზარდა. ისინი მმართველი პარტიის 2/3-ს შეადგენენ. რაც ყველაზე მთავარია, მათ პარლამენტში წამყვანი პოზიციები უკავიათ, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში კუკავა.

მისი თქმით, პორტირებული ნაცები აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც წამყვან თანამდებობებზე არიან. კუკავას აზრით, ძველი მეოცნებეები ამის გამო ძალიან გაღიზიანებული არიან.

– დღეს „ოცნებაში“ პორტირებული ნაცები და ლიბერასტები არიან დაწინაურებული. ძველი ქოცები, ის ხალხი, ვინც რეჟიმს ებრძოდა, გადაწიეს უკანა პლანზე. რამდენიმე კვირის წინ პარლამენტში ძალიან საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა – ტელეკამერებმა დააფიქსირეს, თუ როგორ ელაპარაკება კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე ვანო ზარდიაშვილი ეკა ბესელიას.

იმ ვიდეოში კარგად ჩანდა „ოცნებაში“ შექმნილი ატმოსფერო – წინა მოწვევის პარლამენტში პორტირებულები სტუმრის სტატუსით იყვნენ. ახლა ისინი არიან მასპინძლები, – აღნიშნავს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი.

კახა კუკავას თქმით, მასპინძლებიდან სტუმრის როლში საკმაოდ მნიშვნელოვანმა ფიგურებმა გადაინაცვლეს.

– ეკა ბესელია, ირაკლი სესიაშვილი, ზაზა პაპუაშვილი, გედი ფოფხაძე – ხალხი, ვინც რეჟიმს ებრძოდა, მეორე პლანზე ჰყავთ. მიუთითეს, ხელფასი აიღეთ და მეტი არაფერი გეკითხებათო.

„ოცნებაში“ არიან ისეთები, ვინც ბედს შეეგუა და მხოლოდ ხელფასს დათანხმდა, მაგრამ ისეთებიც გამოჩნდნენ, ვინც უკმაყოფილებას ღიად გამოხატავს, – ამბობს კუკავა.

მისი თქმით, „ოცნების“ დეპუტატების დიდ ნაწილს განსაკუთრებული აგრესია პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ აქვს:

– დეპუტატების ნახევარზე მეტი ირაკლი კობახიძეს აგინებს. მის სპიკერობას მხოლოდ ივანიშვილის გამო ითმენენ.

კუკავა ვარაუდობს, რომ ივანიშვილისთვის ანგარიშის გაწევაც დასრულდება.

– ბუნებაში უცვლელი არაფერი არ არის. საპარლამენტო უმრავლესობა დღეს ივანიშვილის მორჩილია, რაც იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ხვალაც ასე იქნება. შევარდნაძეს მოქალაქეთა კავშირიდან ის ხალხი აუმხედრდა, ვინც ყველაზე დიდი მონა იყო, – აღნიშნავს კუკავა.

სანდრო ბრეგაძე: „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არის ტყვეობაში“

ნონა ცაბაძე

„ქართული მარშის“ განადგურების გეგმას საშა კაცმანი ხელმძღვანელობს“

„ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული მარშის“ ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ბრეგაძე პასუხობს.

– ბატონო სანდრო, ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ქართული მარშის“ დაკავებული წევრები შიმშილობას იწყებენ. საპატრიარქოსაც სთხოვეთ დახმარება. თუ გამოგეხმაურათ ვინმე?

– რაც შეეხება საპატრიარქოს, მე პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არის ტყვეობაში.

– ვის ტყვეობაშია?

– უწმინდესი არის მისი გარემოცვის ტყვეობაში. მე არ ვიცი, ვინ არიან ეს ადამიანები, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ესენი არიან ის პიროვნებები, რომლებსაც დავალებული აქვთ, რომ უწმინდესი და უნეტარესი მოათავსონ სრულ ინფორმაციულ იზოლაციაში, რათა აკეთონ თავიანთი შავი და ბინძური საქმეები.

– რას გულისხმობთ, არ მიდის სწორი ინფორმაცია პატრიარქამდე?

– საერთოდ არანაირი ინფორმაცია არ მიდის პატრიარქამდე, გარდა იმ ინფორმაციებისა, რაც აწყობს გარკვეულ ძალოვან უწყებებს და გარკვეულ სამსახურებს. როდესაც მე ვიყავი საპატრიარქოში, იქ ვნახე უცნაური ადამიანები, რომლებსაც არანაირი შეხება არა აქვთ სასულიერო თემასთან, რომლებიც ფაქტობრივად აკონტროლებენ სიტუაციას საპატრიარქოში და რომელთა გარეშეც ჩიტიც კი ვერ გადაფრინდება საპატრიარქოს კედელზე. ფაქტობრივად, ეს ადამიანები ახორციელებენ სრულ ბლოკირებას პატრიარქისას.

– იმის თქმა გინდათ, რომ პატრიარქს ვერ მიაწვდინეთ ხმა?

– აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვეძლევა არანაირი საშუალება, რომ როგორმე მივაწვდინოთ ხმა. გარდა ერთი საშუალებისა, როდესაც უშუალოდ მივაწვდინეთ მას ხმა. სამარცხვინოა ეს ყველაფერი, ადამიანებს, რომლებიც თავად უნდა იყვნენ დაინტერესებული იმითი, რომ ქრისტიანობისთვის მებრძოლი უდანაშაულო ახალგაზრდების გათავისუფლება მოხდეს, პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული.

– სხვა შემთხვევაში ფიქრობთ, რომ პატრიარქს ექნებოდა თქვენთვის სასურველი პოზიცია?

– აქ ჩემთვის სასურველ პოზიციაზე არ არის საუბარი. რას ჰქვია ჩემთვის სასურველი პოზიცია?! აქ საუბარია სიმართლის მხარეს პოზიციაზე. როდესაც 7 ახალგაზრდა დაჭერილია აბსოლუტურად უკანონოდ. თან დაჭერილია იმის გამო, რომ დაიცვეს ქრისტიანობა, რომ დაიცვეს მართლმადიდებლობა. ამ შემთხვევაში სწორედ საპატრიარქო უნდა დაუდგეს მათ გვერდში.

– სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, საქმე სასამართლოშია და საპატრიარქოს რა ბერკეტი აქვს?

– კარგით რა, ჩვენ ვიცით ასეულობით შემთხვევა, როდესაც საპატრიარქოს წარმომადგენლები შუამდგომლობით შედიან გინდა პრეზიდენტთან და გინდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში და მკვლელებს, ყაჩაღებს, ქურდებს და ასე შემდეგ, რეკომენდაციას უწევენ, რომ მათ საპატიმრო ღონისძიებები შეეცვალოთ არასაპატიმრო ღონისძიებით. ასეულობით მაგალითი არსებობს და ნამდვილ საშიშ კრიმინალებზე! დღეს კი არანაირი რეაგირება არა აქვთ აბსოლუტურად უდანაშაულო სტუდენტებზე, რომლებმაც ფაქტობრივად თავი გაწირეს იმისთვის, რომ ქვეყნის ღირსება და თავიანთი რწმენა დაეცვათ.

– ამით „ქართული მარშის“ პოლიტიკას უპირისპირდებიან?

– რას ნიშნავს „ქართული მარში?!“ რეალურად „ქართული მარში“ არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, ეს არის ერთგვარი სახალხო მოძრაობა, ერთ პოზიციაზე მყოფი ადამიანების გაერთიანება. მთელი ლიბერასტული ჭუჭყი და მთელი მათი აგრესია მოდიოდა „ქართული მარშის“ წინააღმდეგ, იმიტომ, რომ მათში საფრთხეს ვერ ხედავდნენ. დაინახეს საფრთხე ჩვენში და ამიტომაც მოემართა მთელი არმადა „ქართული მარშის“ წინააღმდეგ. მათი სურვილი იყო „ქართული მარშის“ განადგურება. მიუხედავად ათასგვარი დაბრალებისა, ათასგვარი ცილისწამებებისა და ათასგვარი შავი პიარისა, მათ ვერაფერი ვერ დაგვაკლეს. როდესაც მიხვდნენ, ასე არაფერი გამოვიდოდა, შემდეგ აამუშავეს ხელისუფლებაში ჩაბუდებული მოღალატეები და სოროსის ბანდები და ძალისმიერი მეთოდებით მოინდომეს „ქართული მარშის“ დანგრევა.

– ამ ბიჭების დაპატიმრებით მოხდა „ქართული მარშის“ განეიტრალებაო, მოვისმინეთ შეფასებები, თქვენ როგორ უპასუხებდით ამას? მოხდა „ქართული მარშის“ დაშინება და იქნება თუ არა თქვენი მხრიდან აქტივობები?

– ის 7 ახალგაზრდა, რომლებიც არიან დაკავებული, არ გახლავან „ქართული მარშის“ რიგითი წევრები. ესენი არიან ის ადამიანები, რომელთა მხრებზეც დგას „ქართული მარში“. ესენი არიან „ქართული მარშის“ სული და გული. მამოძრავებელი ძალა და ახალგაზრდა ლიდერები! რა თქმა უნდა, როდესაც ასეთ ძალას გამოაცლი „ქართულ მარშს“ და დააპატიმრებ, ეს სერიოზული დარტყმაა ჩვენთვის. ჩვენ ვაწარმოებთ ჩვენს გამოძიებას და უახლოეს ხანებში გავხეთქავთ ბომბს, ატომური ბომბის მსგავს სენსაციას და სკანდალს, სადაც აღწერილი იქნება თავიდან ბოლომდე, თუ ვინ რანაირად და როგორ იდგა და დგას ამ ყველაფრის უკან.

– უფრო კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– ჩვენ დავასახელებთ იმ ადამიანებს, რომელთა პირადი პატიმრებიც არიან ეს ახალგაზრდები, რომლებიც არიან ხელისუფლებაში და ხელისუფლების გარეთ! ჩვენ დავასახელებთ იმ სქემებს, ჩვენ მოვიყვანთ იმ ფაქტებს, რომლებიც დაანახებს ჩვენს მოსახლეობას, თუ რა შეთქმულებაზეა საუბარი.

– იქნებ რაღაც მაინც გვითხრათ მინიშნებით?

– მოდით, პირდაპირ გეტყვით, მამათმავლები, რომლებიც არიან მოკალათებულნი საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე, როგორც ხელისუფლების გარეთ, ისე ხელისუფლების შიგნით, ისე ტელევიზიებში, სწორედ ისინი არიან მთავარი ფაქტორი იმისა, რომ „ქართული მარშის“ ლიდერები არიან დაკავებულები. ასეთი ადამიანები ყველა მთავრობასა და ყველა ხელისუფლებაში იყვნენ, თუმცა დღეს კლანი აქვთ ამ ადამიანებს შექმნილი და ისინი მართავენ ქვეყანას. მე გეტყვით ერთ კონკრეტულ გვარს, ეს არის საშა კაცმანი, რომელსაც, პირდაპირ გეტყვით, რომ ეზიზღება ქართველები!

– ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?

– საშა კაცმანი არის დაუძინებელი მტერი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის. მას პირდაპირ აქვს დავალება მიღებული, რომ ქართული ეკლესია უნდა დაყოს რამდენიმე ნაწილად. საშა კაცმანი გახლავთ ადამიანი ხელისუფლებიდან, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს „ქართული მარშის“ განადგურების გეგმას.

მისი ხელფასი შეადგენს 200 ათას ლარს, ის საკმაოდ მდიდარი და გავლენიანი ფიგურაა. ადრე ის პრემიერ გილაურთან იყო დაკავშირებული და მიხეილ სააკაშვილთან, დღეს კი ის არის ამ ხელისუფლების პიარი და ჩათვალეთ, რომ ის არის პროპაგანდის მინისტრი. ეს არის ადამიანი, რომელიც არის რუხი კარდინალი, რომლისაც ეშინიათ მინისტრებს, ეშინიათ დეპუტატებს.

მე მქონდა საუბარი რამდენიმე მინისტრთან, ისინი ნამდვილად პატრიოტი ადამიანები არიან, თუმც მათ ტყვიასავით ეშინიათ კაცმანის. ის შიშის ზარს სცემს მთელ „ქართულ ოცნებას“. მის უკან დიდი ძალები დგანან. უცხოურ ძალებს ვგულისხმობ. ის ჯორჯ სოროსის მოწაფე და მისი მარჯვენა ხელია. სოროსი ყველაზე მეტად მას ენდობა.

– რა გეგმები აქვს „ქართულ მარშს“ და რით აპირებთ დაუპირისპირდეთ ამ ძალებს?

– ჩვენ არ გვაქვს არანაირი ფინანსები, ჩვენ არ გვაფინანსებს არც რუსეთი და არც დასავლეთი, როგორც გვაბრალებდნენ. ჩვენ შიშველი ხელებით გვიწევს ამ მონსტრთან ბრძოლა. ჩვენ მზად ვართ თავგანწირვისთვის, მზადა ვართ დაპატიმრებისა და ფიზიკური განადგურებისთვის.

– ამ ეტაპზე თქვენი საპროტესტო გამოსვლები აღარ იგეგმება?

– ყველაფერი იგეგმება. ჩვენ პირველ რიგში დავიწყებთ მასობრივ შიმშილობის აქციას პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით და ეს არ იქნება ისეთი შიმშილობის აქცია, რომელიც ბოლო ხანებში ხდებოდა, დილით რომ შიმშილობდნენ და საღამოს ხინკალს ჭამდნენ. ჩვენ ვიშიმშილებთ და ეს იქნება თავგანწირვის აქცია!

ასლუნდი: „დასავლეთმა რუსი ოლიგარქების აქტივები უნდა გაყინოს“

თეთრმა სახლმა რუსი ოლიგარქების წინააღმდეგ სანქციები იანვრის შემდეგ მეორედ დააწესა. 6 აპრილს გამოქვეყნებული სანქციები შვიდ რუს ოლიგარქს, რუსეთის ხელისუფლების ჩვიდმეტ მაღალჩინოსანს, იარაღის სახელმწიფო ინდუსტრიას და 12 კერძო კომპანიას ეხება. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, პრეზიდენტ პუტინის და მისი გარემოცვის კერძო აქტივები გლობალურად, დაახლოებით, 1.3 ტრილიონ დოლარს შეადგენს. ეკონომისტი ანდერს ასლუნდი რუსი ოლიგარქების სანქცირებასთან ერთად მათი აქტივების გაყინვის წინადადებით გამოდის.

– ბატონო ანდერს, მადლობა ინტერვიუსთვის. ამერიკის ხაზინა რუს ოლიგარქებს ახალ სანქციებს უწესებს. რით განსხვავდება ეს სია იანვარში გამოქვეყნებული, ეგრეთწოდებული, „კრემლის სიისგან“?

– რამდენადაც მე მესმის – ეს ადამიანები არ არიან უბრალოდ მდიდრები, არამედ მათ ფული კრემლთან და პრეზიდენტ პუტინთან სიახლოვის შედეგად გაკეთეს. სია, რომელიც იანვარში გამოქვეყნდა, რუსეთის „ფორბსის“ სიას ეყრდნობოდა, რაც აბსურდი იყო. ამ ადამიანების ნაწილი რუსეთში აღარც კი ცხოვრობს, ზოგი სხვა ქვეყნის მოქალაქეა, ზოგი პუტინის მოწინააღმდეგე და ზოგიც პუტინის მსხვერპლია. „კრემლის სია“ ცუდ ხუმრობას ჰგავდა. ახალი სანქციების სამიზნეები ის ადამიანები არიან, რომლებმაც ფული პუტინთან სიახლოვით გააკეთეს.

– რამდენად მტკივნეული იქნება ეს სანქციები მათთვის?

– ამ ადამიანებს ამერიკულ საბანკო სისტემაში ფინანსური ოპერაციების განხორციელების საშუალება არ ექნებათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ დოლარებში ტრანზაქციების განხორციელებაც აღარ შეეძლებათ. ეს ძალიან სერიოზული ნაბიჯია.

– თქვენ წინადადებით გამოდიხართ, რომ შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა რუსი ოლიგარქების აქტივები გაყინონ.

– ვფიქრობ, რომ უკვე სანქცირებული ადამიანების აქტივები უნდა გაიყინოს. ეს არ არის სახელმწიფო რეზერვები ან ზოგადად რუსული აქტივები. მე ვსაუბრობ ძმებზე არკადი და ბორის როტენბერგებზე, პუტინის ბანკირ იური კავალჩუკზე, გენადი ტიმჩენკოზე. ეს არიან ადამიანები, რომლებიც პერსონალურად აწარმოებენ ბიზნესს პუტინთან. ამერიკამ მათ სანქციები 2014 წლის გაზაფხულის შემდეგ დაუწესა, მაგრამ მათი აქტივები არ გაუყინავს. ამ ადამიანებს ამერიკაში, ალბათ, ათობით მილიარდი დოლარი აქვთ დაბანდებული.

– როგორ განსხვავდება სანქციები აქტივების გაყინვისგან?

– სანქციებს სამი მიზანი აქვს, ამ ადამიანებს ამერიკაში შემოსვლის უფლება არ მისცეს, გაყინოს მათი აქტივები შეერთებულ შტატებში და ბიზნესის წარმოებაში ყველანაირად შეუშალოს ხელი.

– ანუ დაწესებული სანქციები არ სრულდება?

– სანქციები არ სრულდება იმის გამო, რომ ამერიკაში ანონიმური მფლობელობა კანონითაა დაშვებული. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ზოგიერთ რუს ოლიგარქს ფიქტიური კომპანიების 20-30 შრე აქვს. რუსეთიდან ფული კვიპროსის გავლით გამოდის და იქ რამდენიმე ოფშორული კომპანია იქმნება, იქიდან თანხა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე იგზავნება, სადაც ფიქტიური კომპანიების დამატებითი შრეები იქმნება, იქიდან კაიმანის კუნძულებზე მიდის და, საბოლოო ჯამში, ფული ამერიკის შტატ დელავერამდე ჩამოდის, სადაც ერთ შენობაში 200 ათასზე მეტი ფიქტიური კომპანიაა დარეგისტრირებული.

– ტერორიზმის დაფინანსების, ტრეფიკინგის, ფულის გათეთრების და სხვა დანაშაულების აღკვეთის, ასევე საერთაშორისო საბანკო გამჭვირვალობის მიზნით უამრავი რეგულაცია არსებობს. ამ კანონების ფონზე, რატომ და როგორ არის დაშვებული საკუთრების ანონიმური მფლობელობა ამ ქვეყანაში?

– ეს სწორი შეკითხვაა. ოთხი დიდი პრობლემა გვაქვს. ამერიკაში დაშვებულია ქონების მფლობელის ანონიმურობა. ევროპის ბევრ ქვეყანაში ეს კანონით იკრძალება. ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში ანონიმურობა დაშვებულია. მეორე პრობლემა ისაა, რომ „პატრიოტის აქტში,“ რომელმაც საბანკო სისტემა, ასე ვთქვათ, გაასუფთავა, უძრავი ქონების საკუთრება შეყვანილი არ არის. მესამე პრობლემას ის წარმოადგენს, რომ ამერიკაში ფულის შემოტანა იურიდიული ფირმების მეშვეობით შეიძლება, რომლებიც ბანკებივით იქცევიან და კლიენტის კონფიდენციალურობის დაცვის პრივილეგიით სარგებლობენ. ამით ამერიკაში ფულის საიდუმლო გადარიცხვები შემოდის და უძრავი ქონების ყიდვა ნაღდი ანგარიშსწორებით ხდება. მეოთხე პრობლემა კი ისაა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომლებმაც ეს სქემები უნდა გამოიძიოს, ძალიან ცოტა თანამშრომელი ჰყავს.

– ამაში გათეთრებული ფულიც შედის? ამერიკის მთავრობა ქვეყანაში გათეთრებული ფულის მხოლოდ ერთი მეათედის გამოვლენას ახერხებს. ამ ფულითაც ხდება ქონების ყიდვა?

– კი. საბოლოო ჯამში, ბანკები საკუთარი თავის აუდიტს თვითონ აკეთებენ. ისინი მილიარდობით დოლარს ხარჯავენ იმაში, რომ თვითშემოწმების მექანიზმები შეინარჩუნონ და ჯარიმები თავიდან აიცილონ. ამერიკის მასშტაბით, ფინანსურ პოლიციაში 300 ადამიანი მუშაობს, რის პოვნას შეძლებენ ისინი?!

– ახლა კრემლთან დაკავშირებულ პირთა პერსონალურ ქონებაზე გადავიდეთ. როგორ აკეთებენ ეს ადამიანები ამდენ ფულს? ზოგიერთ წყაროზე დაყრდნობით, პუტინის გარემოცვის ქონება 2004 წლის შემდეგ დაახლოებით 300 მილიარდი დოლარით გაიზარდა.

– ფულის დიდი მანქანა რუსეთში „გაზპრომია.“ პუტინი და მისი მეგობრები ექსკლუზიურად გაზპრომისთვის აფორმებენ კონტრაქტებს ისეთი პირობებით, რომლებიც საბაზრო ფასებთან შედარებით სამჯერ ძვირია. ეს განსაკუთრებით არკადი როტენბერგს და გენადი ტიმჩენკოს ეხება, რომლებიც ამ კონტრაქტების სპეციალისტები არიან. ამასთან ერთად, „რუსეთის ბანკი,“ რომელსაც პუტინის ბანკირი იური კოვალჩუკი მართავს. კოვალჩუკმა მედია საშუალებები და „გაზპრომის“ ფინანსური აქტივები ძალიან იაფად იყიდა. ამ გზით, მათ კომპანიის კუთვნილი დიდძალი თანხა თავისთვის დაირიგეს. კიდევ ერთი მეთოდი, სახელმწიფო ბანკებიდან სესხების გამო-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

დემურ გიორგელიძე: „თუ დასჭირდებათ, ლარის ვარდნა იქნება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორგელიძე პასუხობს.

– ბატონო დემურ, ამერიკულმა სანქციებმა სერიოზულად დაა ზარალა რუსული ეკონომიკა, რუსი ბიზნესმენები.. რას იტყვით თქვენ?

– საქმე ის არის, რომ სანქციებმა და იმ სიაში ცნობილი მილიარდერების შეტანამ მათი ფირმების აქციები ჩამოშალა საფონდო ბაზარზე, ეს პირველი იმპულსი აშკარად თვალში საცემია. თუმცა ეს ის არ არის, რამაც შეიძლება რუსული ეკონომიკა კოლაფსში ჩააგდოს.

– თუკი სანგრძლივად გაგრძელდა ეს სადამსჯელო სანქციები?

– ყველა მოქმედებას აქვს საპირისპირო ქმედება, ამიტომ რაღაც განსაკუთრებული მოლოდინი არ უნდა იყოს ამისა. აქ არის იმის პრობლემა, რომ ტექნოლოგიების მიწოდება, ფინანსურ რესურსებზე წვდომა იზღუდება, ეს კი ხელს უშლის განვითარებას, მაგრამ რუსეთს შიდა რესურსებიც ძალიან დიდი აქვს იმისთვის, რომ რაღაც ზრდა მაინც ჰქონდეს და აქვს კიდეც.

– ბატონო დემურ, ექსპერტთა ნაწილი პროგნოზირებს, რომ მალე ლარიც დაიწყებს გაუფასურებას. ამაზე რას იტყვით?

– არა მგონია, რომ რუსეთის მიმართ ამერიკული სანქციები რაიმე სახით საქართველოსა და მის ეკონომიკაზე ნეგატიურად აისახება. იმიტომ, რომ ის საკმაოდ მწირი ურთიერთობები, რომელიც არის რუსეთ-საქართველოს შორის, საქონელგაცვლის თვალსაზრისით, ხელუხლებელია, ტურისტებს რაც შეეხება, ისინი როგორც ჩამოდიოდნენ, იმაზე მეტი რაოდენობით ჩამოდიან, ასე რომ, ამ მხრივ ჩვენ რაიმე სერიოზული ურთიერთობა არ გვაქვს, მათ შორის ეკონომიკური, რომ ამას შეიძლება ჰქონდეს გავლენა საქართველოზე. საქართველოს ეკონომიკას თავისი პრობლემები აქვს რუსეთის გარეშე.

– მაშინ რას უნდა უკავშირდებოდეს ლარის გაუფასურების მოლოდინი?

– ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის. ჩვენ ვერავინ ვერ აგვიხსნის დალაგებულად და პროფესიულ ენაზე, რამ გაამყარა ლარი. ეს ეროვნული ბანკის პოლიტიკაა და ამას აუცილებლად მოჰყვება ლარის შესუსტება, ეს თავისთავად ცხადია. როგორი სისწრაფე იქნება, ეს დამოკიდებული იქნება იმ პოლიტიკაზე, რასაც ემსახურება ეს გაუთავებელი თამაში. რატომ არის, რომ დოლარი-ევროს კურსი კვირაობით 1,23-ზეა? მიუხედავად იმისა, რომ წარმოუდგენელი რაოდენობის ტრანზაქციები ხორციელდება ყოველდღიურად დოლარებსა და ევროში. რაშია საქმე?!

– ამით რისი თქმა გსურთ?

– ეს არის სუბიექტური პოლიტიკა, რომელიც რაღაც მიზნებს ემსახურება და ამ მიზნებში არ არის ეკონომიკური ზრდა, არ არის დასაქმება და არ არის ის, რასაც ჰქვია განვითარება, ემსახურება სრულიად გასაგებ პრივილეგირებულ ჯგუფებს, რომლებსაც წვდომა აქვთ ფინანსურ სფეროზე.

– ანუ მკვეთრი ვარდნა არ იქნება და ეს ყველაფერი ამ მაქინაციებით არის განპირობებული?

– არა, ვარდნა იქნება, ანუ როგორც დასჭირდებათ, ისეთი იქნება. აქ არანაირი ბაზარი არ მოქმედებს და არანაირი მექანიზმი არ მუშაობს. მე ძალიან დიდი ყურადღებით ვაკვირდები სტატისტიკურ მონაცემებსაც, ისედაც რაც ხდება ეკონომიკაში. ეკონომიკური მაჩვენებლების თვალსაზრისით არაფერი არ იცვლება, არც ერთი პრობლემა, რომელიც გააჩნია ეროვნულ ვალუტას, გადაჭრილი არ არის და ვერც გადაიჭრება უახლოეს ხანში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ პოლიტიკით არაფრის გადაჭრა არ შეიძლება. მე არ მესმის, რატომ არის კარგი ლარის ასეთი გამყარება, ვისთვის არის ეს კარგი. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ძალიან მარტივ რამეზე.

– კერძოდ, რაზე?

– ასეთი ვარდნა და ლარის გამყარება გამოწვეულია იმით, რომ არის ინტერესი დაცემისა და, შესაბამისად, დოლარის მასის შესყიდვისა და შემდეგ, ბუნებრივად გაჩნდება ლარის გაუფასურების მიზეზები და ეს ასეც მოხდება. ამას წყალი არ გაუვა.

– თქვენ საუბრობთ, რომ ეს ვიწრო ჯგუფის ინტერესია, არ შეიძლება კანონით ამის დარეგულირება, რომ მათ არ ჰქონდეთ ეს ბერკეტი?

– ეროვნული ბანკის პოლიტიკაში არ თუ ვერ დევს ეკონომიკური ზრდა, არ დევს დასაქმება და ეს არ არის ეროვნული ბანკის ბრალი, ეს არის იმის ბრალი, ვინც უმტკიცებს ეროვნულ ბანკს ამ პოლიტიკას და მთლიანობაში ამტკიცებს მაკროეკონომიკურ პოლიტიკას. ეს არის საქართველოს პარლამენტი, რომელიც აბსოლუტურად არაკვალიფიციურად ეკიდება ამ საქმეს. არ არის ეს კანონის ძალით დავალებული, ამიტომ ეროვნული ბანკი აკეთებს იმას, რასაც აკეთებს. საქართველოს პარლამენტი არ ასრულებს თავის ფუნქციას, ის არაკვალიფიციურია.

ასლუნდი: „დასავლეთმა რუსი ოლიგარქების აქტივები უნდა გაყინოს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ტანა და მათი უკან არ დაბრუნებაა. დიდძალი ფული ასევე კეთდება აქციებზე ფასების მანიპულირებით. „გაზპრომიდან“ პუტინმაც დიდი წილი მიიღო. კომპანიის რესტრუქტურიზაცია 2006 წელს მოხდა და მაშინ პუტინს აქციების 4-დან 6 პროცენტამდე მისცეს.

– ანუ პუტინი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანია?

– ალბათ. სხვადასხვა წყარო სხვადასხვა რიცხვს ასახელებს. მე ვიტყოდი, რომ მისი ქონება 50-დან 200 მილიარდამდე მერყეობს. თუმცა, მარტივი სიმართლე ისაა, რომ ჩვენ სინამდვილეში ეს არ ვიცით იმის გამო, რომ ეს ფული უამრავი ფენის ქვეშაა დამალული და საზღვარგარეთ საკუთრებით ანონიმურ მფლობელობას აფარებს თავს. ამ ადამიანებს სიმდიდრე არ უნდათ. ქონებას ისინი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით აგროვებენ.

– თუ ისინი ანონიმურად ფლობენ ქონებას, ეს იმას ნიშნავს, რომ საჯაროდ მის გამოყენებას და ლეგიტიმური ბიზნესის წარმოებას ვერ შეძლებენ. თქვენ ამბობთ, რომ ფული მათ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის სჭირდებათ. რას ამბობს ეს ყველაფერი რუსეთის მომავალზე?

– ძალიან ბევრს. ეს იმის ნიშანია, რომ სახელმწიფო აპარატები მომართულია იმისკენ, რომ დღევანდელ მმართველგუნდს ძალაუფლება შეუნარჩუნოს. ისინი მოსახლეობის წინაშე ვალდებულებას არ კისრულობენ მათი ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ეს ასევე იმის ნიშანიცაა, რომ სანამ ეს გუნდი ხელისუფლებაშია, რუსეთში მმართველობის სტრუქტურის, ეკონომიკური თუ პოლიტიკური სერიოზული რეფორმები არ განხორციელდება.

– არსებობს მოსაზრება, იმის გამო, რომ რუსეთის ეკონომიკა შედარებით სუსტია, საერთაშორისო ასპარეზზე პუტინი ასიმეტრიულ მეთოდებს მიმართავს, რომლებიც სავარაუდოდ უფრო იაფია. თქვენ ფიქრობთ, რომ პუტინის გარემოცვის აქტივების გაყინვა დასავლეთში კრემლს ამ სტრატეგიას შეაცვლევინებს?

– დიახ, ასე ვფიქრობ. ამ მოქმედებით პუტინის გარემოცვას მკაცრი მესიჯი გაეგზავნება, რომ პუტინს სისუსტეები აქვს და რომ მასთან ძალიან ახლოს ყოფნა მათთვის კარგი არ არის. უცნაური ისაა, რომ პუტინი და მისი მეგობრები საკუთარ ქონებას დასავლეთში ინახავენ, იმიტომ, რომ რუსეთში საკუთრების უფლება სანდოდ არ არის დაცული. ისინი დასავლეთში კანონის უზენაესობის პრინციპებით სარგებლობენ, სადაც ანონიმურად დაბანდებულ ქონებას კანონი იცავს და სადაც ეკონომიკას სიღრმე აქვს. ასეთი ორი ქვეყანა კი ამერიკა და დიდი ბრიტანეთია.

დავით ჭიჭინაძე: „მამუკა მდინარაძემ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეობა უნდა დატოვოს“

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებაში“ ისე იძაბება სიტუაცია, საკონსტიტუციო უმრავლესობა კი არა, შესაძლოა ჩვეულებრივი უმრავლესობა გაუხდეთ სანატრელი.

წინა კვირაში თუ მეოცნებეების თავის ტკივილი გედი ფოფხაძე გახდა, ამ კვირაში ამ მისიას დეპუტატი დავით ჭიჭინაძე ასრულებს. გუშინ, 10 აპრილს, მან ჯერ პარლამენტის სპიკერი გააკრიტიკა, დღის ბოლოსთვის კი საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის გადადგომა მოითხოვა.

მდინარაძემ ჭიჭინაძის რისხვა ირაკლი კობახიძის გამო დაიმსახურა.

უმრავლესობის ლიდერი არასერიოზულს უწოდებს იმ მოსაზრებას, რომ პარლამენტის თავმჯდომარე შესაძლოა გადაეყენონ, დავით ჭიჭინაძეს კი მდინარაძის ფრაქციის თავმჯდომარედ ყოფნა ეჩვენება არასერიოზულად და მიაჩნია, რომ ის უნდა გადადგეს.

– მამუკა მდინარაძეს უთქვამს, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე დავით ჭიჭინაძის განცხადება არასერიოზულიაო. მამუკა მდინარაძე რომ ფრაქციის თავმჯდომარეა, არასერიოზული გადაწყვეტილება ესაა.

რას ჰქვია, რას ვუწუნებ? თუ ამ ადამიანმა ვერ გაითავისა, ფრაქციის თავმჯდომარედ ვინ დანიშნა და პრემიერის საწინააღმდეგო განცხადება არ უნდა აკეთოს, რაზე უნდა ველაპარაკო?

ფრაქცია შექმნილია პრემიერისა და სამთავრობო გუნდის მხარდასაჭერად. როცა პრემიერი გუნდის წევრზე იძახის, რომ ის მის გუნდს სჭირდება და ამ ადამიანის გუნდში დატოვებას ცდილობს, ამ ფონზე ფრაქციის თავმჯდომარე უნდა გამოვიდეს და საპირისპირო განცხადებას უნდა აკეთებდეს? მას მორალური უფლება აღარ აქვს, პრემიერ-მინისტრის მხარდამჭერი პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე იყოს, – განაცხადა პირველ არხთან საუბარში ჭიჭინაძემ.

ჟურნალისტის კითხვაზე, დაიყენებს თუ არა დღის წესრიგში მამუკა მდინარაძის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს, ჭიჭინაძე პასუხობს, რომ მამუკა მდინარაძემ თავისი განცხადებით ეს მოცემულობა თავად დააყენა.

– თუ შენ ხარ „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე და პრემიერის საპირისპირო განცხადებას აკეთებ, მაშინ მორალური უფლება აღარ გაქვს, იმ ფრაქციის თავმჯდომარე იყო. „ქართული ოცნებიდან“ გავიდნენ, 2020 წელს დამოუკიდებლად კენჭი იყაროონ და თუ საკონსტიტუციო უმრავლესობას მიიღებენ, ეს თანამდებობები მერე გადაინაწილონ, – აღნიშნა დეპუტატმა.

პუტინის გარემოცვა რუსეთის გეოპოლიტიკურ მარტოობაზე ალაპარაკდა

მარიამ მჭედლიშვილი

სკრიპალების საქმის გამო დასავლეთი კრემლის წინააღმდეგ ცოტა ხნით ერთად დაირაზმა. ეს ერთსულოვნება სხვა საკითხებში არ იკვეთება. ევროპელი ექსპერტები რუსეთის უფრო გააგრესიულებას წინასწარმეტყველებენ.

ჰოლანდიელი ანალიტიკოსი მარსელ ვან გარპენი დარწმუნებულია, რომ უახლოეს წლებში პუტინის პოლიტიკა უფრო აგრესიული გახდება. მოვლენების განვითარება დასავლეთზეც არის დამოკიდებული, მაგრამ ძნელი სათქმელია, რას იზამს ვაშინგტონი. პრეზიდენტი ტრამპი არაპროგნოზირებადია.

მისი თქმით, კრემლის ლიდერმა იცის, რომ რუსეთში პოპულარობისათვის აუცილებელია, იყო იმპერიალისტი და ნაციონალისტი. პუტინის სანუკვარი ოცნება საბჭოთა კავშირის აღორძინებაა. მას, პირველ რიგში, სურს საბჭოთა კავშირის სლავური ნაწილის დაბრუნება. ბელორუსი სანახევროდ მიერთებული აქვს. უკრაინის, ან მისი ნახევარი ტერიტორიის შეერთება რუსეთთან პუტინის ერთ-ერთი მთავარი განზრახვაა.

პუტინის პოლიტიკის ახალი მიმართულების გამომხატველ საშიშ სიგნალად გარპენი მიიჩნევს სკრიპალებზე თავდასხმას. მისი განმარტებით, ბრეჟნევის ეპოქაში შეიძლებოდა მოეკლათ სპეცსამსახურების თანამშრომელი და აგენტი, მაგრამ მის ოჯახს არავინ ეხებოდა. ამჯერად ანგარიში გაუსწორეს სერგეი სკრიპალის შვილსაც. ეს პუტინის ახალი საშიში პოლიტიკის ნიშანია.

ანალიტიკოსს ეჭვი არ ეპარება, რომ პუტინის მემკვიდრე სპეცსამსახურების წარმომადგენელი იქნება. მისი თქმით, სპეცსამსახურები რუსეთში ძალაუფლებას ხელში არავის ჩაუგდებენ.

რუსეთის გეოპოლიტიკურ მარტოობაზე საუბრობს პუტინის მრჩეველი ვლადისლავ სურკოვი. იგი ჩართულია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან ურთიერთობასა და დონბასის პრობლემებში.

მისი სიტყვებით, 2014 წელს რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღებით დასრულდა რუსეთის მოგზაურობა დასავლეთში. ეს მოგზაურობა თავქარიანად დაიწყო ცრუ დიმიტრიმ, შემდეგ კი მტკიცედ გააგრძელა პეტრე პირველმა. რუსეთს ყველა გზით უნდოდა დასავლეთთან დაახლოება. რუსი თვითმპყრობელები ქორწინდებოდნენ გერმანელებზე, ავსებდნენ რუსეთის ბიუროკრატიას უცხოელებით, იბრძოდნენ ევროპის მსხვილ ომებში.

სურკოვის აზრით, რუსეთი 4 საუკუნის განმავლობაში აღმოსავლეთისკენ მიდიოდა, 4 საუკუნის განმავლობაში – დასავლეთისკენ. ორივე გზა გავლილია. ამჟამად მოთხოვნა გაჩნდა მესამე გზაზე, მესამე ცივილიზაციაზე.

კრემლის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ რუსეთი გეოპოლიტიკურად მარტო იქნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იზოლაციას. მოსკოვი გააგრძელებს სხვებთან ვაჭრობას, ბრძოლას და საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობას.

რუსეთი არ თმობს თავის პოზიციებს სირიაში. ითვლება, რომ სირია რუსეთის ის პლაცდარმია, რომლითაც ის ძლიერდება ახლო აღმოსავლეთის მთელ რეგიონში.

ამ რეგიონში აშშ-ის გავლენის გაფართოებისათვის აზიელი ექსპერტები ვაშინგტონს ურჩევენ რბილი ძალის გამოყენებას. მათი აზრით, ამერიკამ უნდა შექმნას ინსტიტუტების ქსელი,

რომელიც ხელს შეუწყობს თანამშრომლობას ინდოეთთან, ჩინეთთან, იაპონიასთან, ევროპისა და სხვა სახელმწიფოებთან.

აზიელი ექსპერტების თქმით, ტრამპი თავისი მოქმედებებით ასუსტებს ამერიკას აზიაში. დაიძაბა ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობები, თუმცა, ვაშინგტონი და პეკინი ერთმანეთთან ომს არ ესწრაფვიან. ამერიკის უპირატესობები იმდენად დიდია, რომ აშშ შეძლებს თავისი გავლენის გაღრმავებას მთელ აზიაში ტრამპის დროსაც კი.

ტენდერებში გამარჯვებული და დამარცხებული კომპანიები ბიუჯეტის ფულს იყოფენ?!

სახელმწიფო შესყიდვებში შესაძლო კორუფციული სქემებისა და პოლიტიკური ლობირების შესახებ არაერთხელ გვსმენია, თუმცა პრობლემა კიდევ უფრო ღრმა და მასშტაბურია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სახელმწიფო შესყიდვებში ქვეკონტრაქტორებთან დაკავშირებული რისკები შეისწავლა. აღმოჩნდა, რომ ქვეკონტრაქტორის „ტყავში გახვეული“ ინტერესთა კონფლიქტები, კორუფციული გარიგებები და პოლიტიკოსების ლობირებული სახელმწიფო შესყიდვები რთულად ამოსაცნობია.

ბესო ნამჩავაძე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უფროსი ანალიტიკოსი:

– ქვეკონტრაქტორი არის სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე კომპანია, რომელსაც უშუალოდ არ მოუგია ტენდერი, მაგრამ მოგებულმა კომპანიამ დაიქირავა ის სამუშაოს შესასრულებლად, ან საქონლისა და მომსახურების მისაწოდებლად. ხშირად ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოს მთლიანად ან დიდწილად ქვეკონტრაქტორები ასრულებენ. სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობისთვის აუცილებელია ამ პროცესის გამჭვირვალობა. საქართველოში ამ თვალსაზრისით ბევრი რამ გაკეთდა, სხვა ქვეყნებთან შედარებით შესაძლოა ბევრად წინ ვართ, მაგრამ ქვეკონტრაქტორების თემა რჩება ცუდ გამონაკლისად, ჩავარდნად, რომელიც სხვა პოზიტივსა და წინსვლას წითელ ხაზს უსვამს. მაგალითად, შესაძლოა, სახელმწიფო შესყიდვის მთელი პროცესი გამჭვირვალედ წარიმართოს – გამოცხადდეს ტენდერი ყველა პროცედურის დაცვით, გაიმართოს აუქციონი, გაიმარჯვოს საუკეთესო პრეტენდენტმა, მაგრამ ამის მიღმა რა ხდება, ფაქტობრივად, არავინ იცის.

– კონკრეტულად, რა რისკებს შეიცავს სახელმწიფო შესყიდვებში ქვეკონტრაქტორების არსებობა?

– შესაძლოა, სწორედ ქვეკონტრაქტორი კომპანია იყოს დაკავშირებული რომელიმე პოლიტიკურ ფიგურასთან, საჯარო მოხელესთან ან მათთან დაკავშირებულ ბიზნესებთან. შესაძლოა ეს იყოს კომპანია, რომელიც გამორჩეულია მმართველი პარტიისთვის შეწირულობებით. კონკრეტული ფაქტების გარეშე რთულია ვინმეს რამეში დადანაშაულება, მაგრამ ის, რომ ქვეკონტრაქტორების შესახებ ინფორმაცია გაუმჭვირვალეა და ისიც, რომ ასეთი მასშტაბით მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვებში, ანუ რეალურად ისინი ასრულებენ სახელმწიფო შეკვეთებს ტენდერში მონაწილე კომპანიების შუამავლობით, ბევრ ეჭვს ბადებს.

ამ ყველაფერს ხელს ისიც უწყობს, რომ ტენდერის მონაწილე არცერთ მხარეს არა აქვს ვალდებულება, სატენდერო დოკუმენტაციაში მიუთითოს ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მონაწილეობის შესახებ. შესაბამისად, ძალზე ძნელია ქვეკონტრაქტორებთან დაკავშირებული დარღვევების აღმოჩენა, რადგან ეს ტენდერების დახურული მხარეა. კვლევაში რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ, ესეც ბევრი ძიებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის ძალისხმევის შედეგად. არის ფაქტები, რომლებიც აუდიტის სამსახურმა გამოავლინა. თუ ამ გზებით არ გამჟღავნდა კონკრეტული ფაქტი, ქვეკონტრაქტორების მიკვლევა ტენდერებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

როცა მოგება და წაგება ტყუპი ძმები არიან

– ერთ-ერთი ასეთი კონკრეტული შემთხვევა ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) გამოააშკარავა. რომ არა მეტროსადგურ „ვარკეთილში“ ჭერის ჩამონგრევა, ამ შემთხვევის შესახებ, ალბათ, ვერაფერს გავიგებდით. მოგეხსენებათ, „ვარკეთილის“ ჭერი 30 იანვარს ჩამოინგრა, რის შედეგადაც 14 მოქალაქე დაშავდა. მეტროსადგურის სარემონტო სამუშაო შპს „ყვარელრემმშენმა“ 2017 წელს ჩაატარა. ამ სახელმწიფო შესყიდვის შესწავლისას IDFI-მ საინტერესო ფაქტს მიაკვლია, რომელიც სწორედ ქვეკონტრაქტორების საკითხს უკავშირდება. „ყვარელრემმშენმა“ მეტრო „ვარკეთილის“ სარეაბილიტაციო სამუშაოს ტენდერის გარდა, მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების ტენდერშიც გაიმარჯვა, რომელიც „ვარკეთილის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების ტენდერამდე 1 კვირით ადრე გამოცხადდა. ამ ტენდერში „ყვარელრემმშენს“ ერთი კონკურენტი – შპს „დამბა“ ჰყავდა. „ყვარელრემმშენმა“ ტენდერში სამუშაოს შესრულების ფასად 447.728 ლარი დაასახელა, ხოლო „დამბამ“ – 523.215 ლარი.

კომპანიებს ტენდერის აუქციონებში ფასი არ შეუცვლიათ, შესაბამისად, „ყვარელრემმშენმა“ გაიმარჯვა დაბალი ფასის გამო. თუმცა „ყვარელრემმშენის“ სატენდერო განაცხადსა და დოკუმენტაციაში რამდენიმე ხარვეზი აღმოჩნდა. კომპანიამ ხარვეზები გამოასწორა, მაგრამ სატენდერო კომისიამ შემდეგ სხვა ხარვეზები იპოვა. რადგან ხელმეორედ დაზუსტების უფლება კანონმდებლობით არ არის დაშვებული, „ყვარელრემმშენმა“ დისკვალიფიკაცია მიიღო. შედეგად, ტენდერში „დამბამ“ გაიმარჯვა 523.215-ლარიანი შეთავაზებით.

„დამბამ“ თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 2016 წლის 12 დეკემბერს. იმავე დღეს ამ კომპანიამ მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ სარეაბილიტაციო სამუშაოს შესრულებაზე ხელშეკრულება „ყვარელრემმშენთან“ გააფორმა, როგორც ქვეკონტრაქტორთან. კონტრაქტის მიხედვით, „ყვარელრემმშენი“ ქვეკონტრაქტორობიდან მიიღებდა 491.822 ლარს, მის მიერ თავდაპირველად წარდგენილ თანხაზე მეტს. ეს არის ყველაზე ხშირად გავრცელებული პრობლემა ქვეკონტრაქტორებთან დაკავშირებით, როცა ტენდერში კონკურენცია მოჩვენებითია: კონკურენტი წარუდგენს შემსყიდველს ისეთ წინადადებას, რომელიც საგანგებოდ შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლებიც ცნობილია, რომ შემსყიდველისთვის მიუღებელი იქნება. შეთანხმებული კომპანიები შემდგომ ხელოვნურად გაზრდილ თანხას იყოფენ და ხშირ შემთხვევაში ეს ქვეკონტრაქტორთან შეთანხმებით კეთდება. სამართალდამცავები თუ ამ კონკრეტული შემთხვევით აქამდე არ დაინტერესებულან, ახლა მაინც უნდა შეისწავლონ.

მუშაობა სხვისი გამოცდილების იმედად

– არის შემთხვევები, როცა კომპანიები კვალიფიკაციაში იწერენ ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, „საქართველოს რკინიგზა“ სამუშაოების შესყიდვისას ითხოვდა პრეტენდენტების ან ქვეკონტრაქტორების გამოცდილების მითითებას. ზოგიერთ შემთხვევაში ტენდერებში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ქვეკონტრაქტორების გამოცდილება, რის შედეგადაც იმარჯვებდნენ პრეტენდენტები. საბოლოოდ, კონტრაქტორები სამშენებლო სამუშაოების გამოცდილებას სატენდერო კომისიის წინაშე ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების ხარჯზე ითვლიდნენ – შესაძლოა მათ დამოუკიდებლად არც შეუძლიათ აღნიშნული სამუშაოს შესრულება, მაგრამ გამოცდილების ნაწილში თავისუფლად აკმაყოფილებენ ტენდერის პირობებს.

არის შემთხვევები, როცა ტენდერში გამარჯვებული კომპანიები მთლიანად ქვეკონტრაქტორის იმედად არიან. 2015 წლის 6 აგვისტოს ისნის გამგეობამ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებზე პირდაპირი შესყიდვის წესით ხელშეკრულება გააფორმა შპს „ჯი-ბი-ეს ჯგუფთან“, თბილისის საკრებულოს თანხმობით, პირდაპირი შესყიდვის წინა პირობად გადაუდებელი აუცილებლობა დასახელდა. ამასთან, ისნის გამგეობამ „ჯი-ბი-ეს ჯგუფს“ ისე გაუფორმა ხელშეკრულება, რომ კომპანიას სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის გამოცდილება საერთოდ არ ჰქონდა. სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის 20 დეკემბრისთვის უნდა დასრულებულიყო. საექსპერტო დასკვნის დაგვიანებისა და მოსახლეობის სხვა ტერიტორიაზე გაყვანის შეფერხების გამო კომპანიამ დროულად ვერ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, რის გამოც ამ პერიოდში გასამაგრებელი შენობის მდგომარეობა დამძიმდა და ჩამონგრევის საფრთხის გამო ქვეკონტრაქტორებმა კომპანიას უარი უთხრეს სამუშაოების შესრულებაზე. ამ მიზეზით ეს ხელშეკრულება არ შესრულდა. ეს შემთხვევა მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვებში გამოუცდელმა კომპანიამ ვალდებულებები აიღო ქვეკონტრაქტორების გამოცდილების იმედად, რაც იმით დასრულდა, რომ სახელმწიფოსთან დადებული კონტრაქტი შეწყდა.

ქვეკონტრაქტორებთან თანამშრომლობის გაუმჭვირვალობის გამო ძნელი დასადგენია სამუშაოს დაწყების დაგვიანების მიზეზი, რამდენად იყვნენ ქვეკონტრაქტორები მზად მუშაობის დასაწყებად. ასევე არ ვიცით, რა დრო დასჭირდა „ჯი-ბი-ეს ჯგუფს“ ქვეკონტრაქტორების მოსაძებნად და მათთან შესათანხმებლად. თუმცა ოფიციალური დოკუმენტებიდან ცხადია, რომ მშენებლობაზე უარი სწორედ ქვეკონტრაქტორებმა თქვეს.

ჯამი არც ქვეკონტრაქტორების გადაადგილებით იცვლება?!

– ქვეკონტრაქტორების გამოყენების გაუმჭვირვალობის კიდევ ერთი პრობლემური შემთხვევა გამოავლინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომელიც თავის ანგარიშშიც ასახა. ანგარიშის მიხედვით, სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და შპს „დაგი+“-ს შორის ქალაქის 4 ქუჩის რეაბილიტაციაზე გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლის ღირებულება 749,3 ათას ლარს შეადგენდა, მიმწოდებელს არ ჰქონდა ქვეკონტრაქტორის მომსახურებით სარგებლობის უფლება. მიუხედავად ამისა, „დაგი+“-მა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ლატექსთან“ და 412,3 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო შეასრულებინა. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით „დაგი+“-მა სამუშაოები, სავარაუდოდ, მუნიციპალიტეტთან ხელშეკრულების გაფორმებამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო.

ანალოგიური დარღვევა გამოვლინდა 2013 წელს: გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევით, მუნიციპალიტეტთან შეუთანხმებლად, შპს „ლატექსმა“ გზების რეაბილიტაციის 2,635 მლნ ლარის სამუშაოებიდან ქვეკონტრაქტორს შეასრულებინა 889,7 ათასი ლარის სამუშაო. ამ შემთხვევაში „ლატექსმა“ ქვეკონტრაქტორად შპს „დაგი“ აიყვანა.

ასეთი შემთხვევები შემცირდება, თუ სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით დადგინდება ქვეკონტრაქტორის გამოყენების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტი. შესაბამისი რეგულაციები ასეთ შემთხვევებს მარტივად ხილვადს გახდიდა შესყიდვების მონიტორინგში ჩართული ყველა მხარისთვის, რაც ხელს შეუწყობდა კონტრაქტის კეთილსინდისიერად შესრულებასა და კორუფციის რისკების შემცირებას. ყველა ეს შემთხვევა შესაძლოა დანაშაულის ნიშნებს შეიცავდეს და შესაბამისი უწყებები უნდა დაინტერესდნენ. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ მკაცრად უნდა აღირიცხებოდეს, ვინ არიან ქვეკონტრაქტორები, შემსყიდველმა უნდა მოსთხოვოს ტენდერში მონაწილე კომპანიებს ინფორმაცია ქვეკონტრაქტორების შესახებ.

ბევრ ევროპულ ქვეყანაშიც იყენებენ ქვეკონტრაქტორებს, რადგან ეს არის შესაძლებლობა მცირე და საშუალო კომპანიებისთვის, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში. ჩვენ გამჭვირვალობის გაზრდას ვითხოვთ, რაც საერთოდ არ უშლის ხელს ქვეკონტრაქტორების არსებობას, თუ, რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერ თანამშრომლობაზე ვსაუბრობთ და ამ გზით სახელმწიფო შესყიდვებში რეალურად მონაწილე კომპანია და მის უკან მდგომი პირები არ იჩქმალებიან. შესაბამისად, თუ კომპანია ქვეკონტრაქტორით ასრულებს სახელმწიფო შესყიდვას, ეს უნდა ჩანდეს სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე. ეს პროცესი გარდაუვალია და ევროდირექტივა გვთხოვს, რომ 2019 წლამდე შემუშავდეს ქვეკონტრაქტის გაფორმების წესები. თუმცა ჩვენ ვითხოვთ, რომ ეს პროცესი დაჩქარდეს, რადგან ქვეკონტრაქტორისა და ქვე-ქვეკონტრაქტორების, ანუ ორეტაპიანი ქვეკონტრაქტორების გამოყენებამ უკვე მასშტაბური ხასიათი მიიღო. ეს ყველაფერი ჩვენთან უკვე ქსელურ მარკეტინგს დაემსგავსა.

ბიპიენი

სანქცირებული ბიზნესმენები დახმარებას რუსეთის ხელისუფლებაში ეძებენ

რუსეთის ხელისუფლება ამერიკის მხრიდან ახალ სასანქციო სიაში მოხვედრილი ბიზნესმენების დასახმარებლად სპეციალურ ზომებს მიიღებს. ამის შესახებ „ბლუმბერგი“ საკუთარ წყაროზე დაყრდნობით წერს.

როგორც ირკვევა, დახმარებისთვის მზაობა გამოთქმულია, თუმცა კონკრეტული დეტალები ამ ეტაპზე არ ხმაურდება. არც ისაა ცნობილი, თუ რა ფორმით მოახდენს მოსკოვი აღნიშნულ სიაში მოხვედრილი პირების მხარდაჭერას. სააგენტო დასძენს, რომ სიაში მოხვედრილი ბიზნესმენი ოლეგ დერიპასკა და ვიქტორ ვექსელბერგი აპირებენ შეხვედრას რუს მაღალჩინოსნებთან უკვე ამ კვირას, მას შემდეგ, რაც მათ ექნებათ უფრო მეტი ინფორმაცია სანქციების შედეგებზე.

შეგახსენებთ, აშშ-მ გასულ პარასკევს ზოგიერთი რუსი ბიზნესმენისა და მათზე დაქვემდებარებული რამდენიმე რუსული კომპანიისთვის, ასევე რამდენიმე რუსი მაღალჩინოსნის წინააღმდეგ სანქციები დააწესა.

თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების დამონტაჟებისთვის 316 266 ლარია გათვალისწინებული

მერიამ თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებელი (ინდივიდუალური პროექტების) საგზაო ნიშნების დამონტაჟებაზე ტენდერი გამოაცხადა.

სატენდერო პირობების თანახმად, წინადადებების მიღება 21 აპრილს დაიწყება და 26 აპრილს დასრულდება. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება კი 316 266 ლარია.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოს შესრულების საგარანტიო ვადა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 5 წელია.

– ქალაქ თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე დასამონტაჟებელია 18 ცალი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებელი (ინდივიდუალური პროექტირების) საგზაო ნიშნები (ფარები), დასახლებული პუნქტის (თბილისი) დასაწყისის 5 ცალი და დასასრულის 5 ცალი მაჩვენებელი საგზაო ნიშანი, – აღნიშნულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

„ბელიაშვილის ქუჩაზე მომხდართან დაკავშირებით 20-მდე პირი დაიკითხა

„თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს“ – ინფორმაციას ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

– ადგილობრივ მოსახლეობასა და საქართველოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის მომხდარი სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა) მიმდინარეობს. დანაშაული 1-დან 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უკვე დაკითხულია 20-მდე პირი, მათ შორის, კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარე. დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა. მომხდარი ფაქტის შესახებ ინფორმაციის მქონე პირთა გამოკითხვა ამ დრომდე გრძელდება. გამოძიება მუშაობს დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის მიმართულებითაც.

მუხლის კვალიფიკაციის საკითხი გადაიხედება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა აუცილებელი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედება დასრულდება და გამოძიებას მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სრული სურათი ექნება – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ავტომანქანის გატაცება და პოლიციის განყოფილებაში იარაღის მუქარით შეჭრა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძარცვისა და იარაღის გამოძალვის ბრალდებით ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის გურჯაანის რაიონული სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1988 წელს დაბადებული გ.კ. ძარცვის, ასევე, იარაღის ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მისაკუთრების მიზნით მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ან გამოძალვის ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 11-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, მიმდინარე წლის 2 აპრილს, რომ გ.კ.-მ სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეში ერთ-ერთ მოქალაქეს კუთვნილი ავტომანქანა გასტაცა, რის შემდეგაც საპატრულო პოლიციის ჩალაუბნის განყოფილებაში შეიჭრა და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, განყოფილების მორიგისთვის იარაღის გამოძალვა სცადა. სამართალდამცველებმა მას ამის საშუალება არ მისცეს. გ.კ.-მ საპატრულო პოლიციის განყოფილებიდან გაქცევა მოახერხა. პოლიციელებმა ბრალდებული მიმალვის მცდელობისას, სოფელ ბაკურციხეში დააკავეს.

სამართალდამცველებმა გატაცებული ავტომანქანა და სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება ძარცვის, ასევე, იარაღის ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მისაკუთრების მიზნით მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ან გამოძალვის ფაქტებზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 237-ე მუხლის 4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უკანონო თევზჭერის ფაქტები გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიმდინარე წლის 6 აპრილიდან, დღემდე უკანონო თევზჭერის 4 ფაქტი გამოავლინეს.

სამინისტროს ცნობით, მდინარე ხრამზე უკანონო თევზჭერის ფაქტის გამოვლენისას მოქალაქეებმა მიმალვა სცადეს, რა დროსაც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ავტომანქანაზე მოახდინეს შეჯახება.

– მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საიმერლოს მიმდებარედ, მდინარე ხრამზე, მოქალაქეები ნავიდან თევზჭერას ელექტროშოკური აპარატის გამოყენებით ახორციელებდნენ. დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლების ადგილზე მისვლის შემდგომ, მოქალაქეებმა გადააგდეს ელექტროშოკური აპარატი და ავტომანქანით შეეცადნენ მიმალვას. ხოლო დევნის პროცესში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ავტომანქანაზე მოახდინეს შეჯახება. გაწეული ფიზიკური წინააღმდეგობის მიუხედავად, ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა მოქალაქეები დააკავეს. ამოღებულია გასაბერი ნავი, 2 ერთეული აკუმულატორი, 2 ერთეული ნიჩაბი, ჩოგანი და მოპოვებული 20 კგ თევზი. მათ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები ასკ-ის 86-ე მუხლის მე-8 ნაწილით, რაც ითვალისწინებს ჯარიმას 2.000-4.000 ლარს და 84-ე მუხლის მე-3 ნაწილით – ჯარიმას 5..000 ლარს. ამასთან ავტომანქანის მძღოლის მიმართ დეპარტამენტის თანამშრომელთათვის უფლება-მოვალეობების განხორციელებაში ხელის შეშლის გამო შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ასკ-ის 84-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც ითვალისწინებს ჯარიმას 5000 ლარის ოდენობით, – აღნიშნულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე ინფორმაციით, დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა სამტრედიისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში უკანონო თევზჭერის 3 ფაქტი გამოავლინეს.

– მდინარე გუბისწყალსა და შავღელეზე მოქალაქეები თევზჭერას ანკესზე გამობმული სახლართი ტიპის ბადით ახორციელებდნენ. ხოლო მდინარე რიონზე მოქალაქე თვითნაკეთი ელექტრონული ხელსაწყოს გამოყენებით მოიპოვებდა თევზს. გარემოსათვის მიყენებული ზიანის დადგენის შემდგომ, მასალები შესაბამის რაიონულ სასამართლოებში გადაიგზავნება, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

დედისა და ძმის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებულს 2 წლით და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა

დედისა და ძმის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებულს სასამართლომ 2 წლით და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან აცნობეს.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დედისა და ძმის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ჯ.ყ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 7 იანვარს, ღამის საათებში, განზრახ დანაშაულისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა ჯ.ყ.-მ ურთიერთშელაპარაკებისას, დედაზე და ძმაზე განახორციელა ძალადობა, რის შედეგადაც დაზარალებულებმა ფიზიკური ტკივილი განიცადეს.

სამართალდამცველებმა ჯ.ყ. 2018 წლის 9 იანვარს, ქ. თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, ჩადენილი ორი პირის მიმართ) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ჯ.ყ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და

სასჯელის სახედ და ზომად 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

თურქეთში მოკლული „გია ქუთაისკის“ თანმხლები პირი, რომელიც ფეხში დაიჭრა, გიგა პეტრიაშვილი, მეტსახელად „პროფესორია“

თურქეთში მოკლული ე.წ. „კანონიერი ქურდის“ გაიოზ ზვიადაძის თანმხლები პირი, რომელიც ფეხში დაიჭრა, 26 წლის ე.წ. „კანონიერი ქურდი“ გიგა პეტრიაშვილი, მეტსახელად „პროფესორია“. ამის შესახებ „პრაიმ კრაიმი“ წერს.

გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევა ანტალიაში, ე.წ. კანონიერი ქურდის რომან ბარბაქაძის („რემენა“) სახლთან მოხდა. ზვიადაძეს და პეტრიაშვილს ცეცხლი „რემენას“ სახლის სადარბაზოში გაუხსნეს.

გამოცემის ვარაუდით, თავდამსხმელების მთავარ სამიზნეს ზვიადაძე წარმოადგენდა, სწორედ ამით აიხსნება პეტრიაშვილის მსუბუქი ჭრილობა.

„ახლა, ქურდული წესების თანახმად, თავდასხმის დამკვეთებს სამაგიერო პეტრიაშვილმა უნდა გადაუხადოს“, – წერს „პრაიმ კრაიმი“.

დეკანოზი მამალაძე სტრასბურს მიმართავს

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტი, რომელიც მამა გიორგი მამალაძეს იცავს, ამბობს, რომ დეკანოზის მიმართ სახელმწიფო ბრალდება ცრუ, სასამართლოს ორი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება კი დაუსაბუთებელია.

– დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმეში თავიდანვე, ვიდრე დღემდე არის არსებითი საპროცესო დარღვევები. იგი არის უდანაშაულო და თავიდანვე ის ბრალდება, რომელიც მის მიმართ იყო წარდგენილი, იყო ცრუ.

საქმე არის უზენაეს სასამართლოში და თუ უზენაესი სასამართლო ასევე არ დააკმაყოფილებს ჩვენს საჩივარს, მივმართავთ სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, – აცხადებს „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ადვოკატი თამარ ავალიანი.

გორში 2 წლის გოგონას საფლავის ქვა დაეცა

გორის სამედიცინო ცენტრ „გორმედში“ ორი წლის გოგონა შეიყვანეს, რომელსაც საფლავის ქვა დაეცა. შემთხვევა გუშინ, სოფელ ვარიანში მოხდა.

როგორც „ნიუპოსტს“ სამედიცინო ცენტრის ექიმმა, სანდრო ხეჩიკაშვილმა განუცხადა, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, მას წვივის ძვლის მოტეხილობა დაუდგინდა.

ექიმის თქმით, პაციენტს დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, დაზიანებული ფეხი თაბაშირში ექნება მოთავსებული.

ავარია ჩაქვში — დაშავებულია 4 ადამიანი

ბათუმი-ქობულეთის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, ჩაქვის გვირაბთან ერთმანეთს მიკროავტობუსი და სატვირთო მანქანა შეეჯახა. შემთხვევის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა, რომლებიც საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს.

სუიციდი გორში — ახალგაზრდა მამაკაცმა თავი ცეცხლსასროლი იარაღით მოიკლა

ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ახალგაზრდა მამაკაცმა თავი მოიკლა გორში. შემთხვევა ცოტა ხნის წინ, ძმები რომელაშვილების ქუჩაზე მოხდა. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, მამაკაცი სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ადგილზე სამართალდამცველები მუშაობენ, მომხდარზე გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

პეკინის ქუჩაზე საცხოვრებელ სახლში ცოლ-ქმარი გარდაცვლილი იპოვეს

თბილისში, პეკინის ქუჩაზე, საცხოვრებელ სახლში ცოლ-ქმარი გარდაცვლილი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, ისინი უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან და, სავარაუდოდ, ცეო-თი ინტოქსიკაციის შედეგად გარდაიცვალნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სსკ-ის 240-ე მუხლის პრიმა მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რასაც მოჰყვა ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

პეტრო პოროშენკო რეჯეფ ერდოღანს შეხვდა

უკრაინისა და თურქეთის პრეზიდენტების შეხვედრა ფრიად საინტერესო ფონზე მოხდა. ჯერ იყო რუსეთ-თურქეთ-ირანის სამიტი, სადაც სირიის მომავალზე იმსჯელეს, შემდეგ ასადმა სირიელი პარტიზანების წინააღმდეგ კვლავ ქიმიური იარაღი გამოიყენა. ამან მთელი მსოფლიო აღაშფოთა, გარდა, ბუნებრივია, კრემლისა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო განცხადება გააკეთა, სადაც ნათქვამია, რომ ცნობა ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების თაობაზე მორიგი დეზინფორმაციაა. მოსკოვი არც პირდაპირ მუქარას მოერიდა, აქაოდა ყველას, ვინც ამას საომარი მოქმედებების დაწყების საბაბად გამოიყენებს, საკადრისი პასუხი გაეცემაო.

თურქეთმა ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება დაგმო, რასაც კრემლის მწვავე რეაქცია მოჰყვა.

– თურქეთის არმია მოვალეა, მის მიერ დაკავებული ქალაქი აფრინი ასადის შეიარაღებულ ძალებს გადასცეს, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა.

პასუხად თურქეთის პრეზიდენტი უკრაინის ლიდერს შეხვდა. უკრაინელი ჟურნალისტების მტკიცებით, პოროშენკო-ერდოღანის შეხვედრა უკანასკნელ მომენტამდე კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. რუსეთის მკვეთრმა განცხადებამ, თურქეთმა აფრინი უნდა დატოვოსო, ერდოღანის არჩევანი განაპირობა. ის პოროშენკოს შეხვდა.

პოროშენკო როგორც ერდოღანს, ასევე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩავუშოღლუს შეხვდა.

ერდოღან-პოროშენკოს მოლაპარაკებების ძირითადი თემა დონბასში შექმნილი მდგომარეობა იყო. თურქეთის ლიდერმა კვლავ დააფიქსირა, რომ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს.

– როგორც დონბასი, ასევე ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია, – თქვა ერდოღანმა.

მან აღნიშნა, რომ ომის შეჩერების ერთადერთი საშუალება რეგიონში გაეროს საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანაა.

– თურქეთი მზადაა, დონბასში თავისი მშვიდობისმყოფელები მიავლინოს, – განაცხადა ერდოღანმა.

პეტრო პოროშენკომ თურქეთის პრეზიდენტს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მან გამოთქვა იმედი, რომ უკრაინა-თურქეთის თანამშრომლობა არა მარტო გაგრძელდება, არამედ უფრო მჭიდრო გახდება.

ამერიკულმა სანქციებმა რუსეთს კოლოსალური ზარალი მიაყენა

აშშ-მ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააფართოვა. თუ მანამდე რუსეთის ხელმძღვანელობა სანქციებით გამოწვეულ ზარალს მალავდა, ახლა ეს უკვე შეუძლებელი გახდა. ჩამოიშალა საფონდო ბირჟები, უდიდესი დარტყმა განიცადეს მსხვილმა რუსულმა კომპანიებმა. ამან რუსულ ვალუტაზეც იმოქმედა. რუბლი რეკორდულ მაჩვენებლამდე დაეცა.

– აშშ-მ სანქციებით უდიდესი დარტყმა მოგვაყენა, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ პესკოვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ სანქციები სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიული ქმედება. შედეგად რუსეთს არანაკლები ზარალი ადგება, ვიდრე დაბომბვების დროს.

– მიუხედავად ამისა, ჩვენ დასავლეთის დიქტატს არ დავემორჩილებით. რაც შეეხება სანქციას, ანუ აგრესიას, ამას ადეკვატურ პასუხს გავცემთ, – დაიმუქრა ლავროვი.

ცნობილი მწერალი და გრუ-ს ყოფილი ოფიცერი ვიქტორ სუვოროვი მიიჩნევს, რომ რუსეთმა დონბასისა და სირიის ომების შედეგად ისეთივე ზარალი განიცადა, რაც თავის დროზე იაპონიასთან ომის დროს 1904 წელს, ამერიკულმა სანქციებმა კი ყველაფერი დააგვირგვინა.

– თუ ასე გაგრძელდა, რუსეთში შიდა შფოთი გარდაუვალია! ეს იქნება 1905 წლის მსგავსი ამბოხი. ხელისუფლება მას ჩაახშობს, მაგრამ ეს რუსეთის სახელმწიფოს დაასუსტებს, – ამბობს სუვოროვი.

ნიკი ჰეილი: „სირიელი ბავშვების სისხლი რუსების სინდისზეა!“

ასადის მიერ ქიმიური იარაღის კვლავ გამოყენებამ მსოფლიო სკანდალი გამოიწვია. ამას გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა მიეძღვნა. აშშ-ის წარმომადგენელმა ნიკი ჰეილიმ მომხდარში მთავარ დამნაშავედ რუსეთი გამოაცხადა. მან ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის მხარდაჭერის გარეშე ასადი ამდენს ვერ გაბედავდა.

– სირიელი ბავშვების სისხლი რუსების სინდისზეა! – თქვა ჰეილიმ.

რუსეთს ბრალი დასდეს გერმანიის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, ნიდერლანდების და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

რუსეთის წარმომადგენელმა ნებენზიამ სირიაში ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებას დეზინფორმაცია უწოდა:

– ეს წმინდა წყლის დეზინფორმაციაა! მავანი ძალები ამას შეგნებულად ავრცელებენ, რათა საომარი მოქმედებები გააჩაღონ! – ამბობს ნებენზია.

გაეროში რუსეთი აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდა. ამან კრემლის მაღალჩინოსნები გაანაწყენა.

– როგორც ჩანს, უახლოესი ასწლეულის მანძილზე რუსეთს იზოლაციაში ყოფნა მოუწევს. ასეთია ჩვენი ბედი, – აცხადებს პუტინის თანაშემწე სურკოვი.

რუსეთი და სირია ისრაელს ბრალს სდებენ

სირიის სამხედრო საჰაერო ბაზაზე ჰომში სარაკეტო დარტყმა განხორციელდა. შედეგად 4 სირიელი სამხედრო დაიღუპა. არიან მოკლულები და დაჭრილები. სირიის საგარეო საქმე სამინისტრომ მომხდართან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მან მომხდარში ისრაელი დაადანაშაულა.

– ისრაელმა ფაქტიურად ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ღია აგრესია დაიწყო, – ნათქვამია განცხადებაში.

სირიის ხელისუფლებას სოლიდარობა მოსკოვმა გამოუცხადა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ მომხდარზე მთელი პასუხისმგებლობა ისრაელს ეკისრება.

– აგრესია ჩვენი მეგობრული ქვეყნისა და მოკავშირის წინააღმდეგ დაუსჯელი არ დარჩება, – დაიმუქრა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ.

რუსეთში უკრაინის მომხრეებს დევნიან

ორიოლის გუბერნიაში ვინმე ალექსანდრე ბივშევი გაასამართლეს. ის სკოლაში გერმანულის მასწავლებელი იყო. ბივშევმა დაწერა ლექსი დონბასში მებრძოლ უკრაინელ მეომრებზე და ის მოსწავლეებს წაუკითხა. შედეგად მასწავლებელი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

– უკრაინელები ჩვენებს ხოცავენ. მათზე ლექსების წერა იგივეა, რაც თავის დროზე ნაცისტი დამსჯელების ქება-დიდება, – ითქვა სასამართლოზე.

ბივშევსაც ლექსის გამო 330 საათით იძულებითი მუშაობა მიესაჯა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

ფაბიო კაპელო: „იტალიის ნაკრებს პოტენციალი არ აქვს“

იტალიური მედიის ინფორმაციით, 31-წლიანი სამწვრთნელო კარიერის შემდეგ, ფაბიო კაპელომ დასვენება გადაწყვიტა. წყაროს ცნობით, 71 წლის სპეციალისტი სატელევიზიო მოღვაწეობას გააგრძელებს.

წლების მანძილზე კაპელომ 15 ჯილდოს მოპოვება შეძლო და საკლუბო კარიერის განმავლობაში მილანის, რეალის, რომასა და იუვენტუსის თავკაცი იყო. ფაბიოს მწვრთნელობის პერიოდში (1993-1994) მილანელებმა ჩემპიონთა ლიგის მოგება შეძლეს.

ფაბიო კაპელო:

– იტალიის ნაკრების გაწვრთნა შემომთავაზეს, თუმცა უარი ვთქვი. სანაკრებო დონეზე მუშაობის გამოცდილება მაქვს, მაგრამ ეროვნულ გუნდში ახლა პოტენციალს ვერ ვხედავ.

სამტრედიას კვარაცხელია გაწვრთნის

როგორც უკვე ვწერდით, საფეხბურთო კლუბ სამტრედიას მთავარი მწვრთნელი ეროვნული ლიგის ბოლო ტურში ქუთაისში, ტორპედოსთან ჩატარებულ მატჩში არ ახლდა მთავარი მწვრთნელი უჩა სოსიაშვილი და მისი გუნდიდან გაშვებაც ვივარაუდეთ. ასეც მოხდა და მიმდინარე სეზონის აუტსაიდერს ახალი მწვრთნელი ჰყავს.

სოსიაშვილის წასვლის შემდეგ, სამტრედიას 53 წლის სპეციალისტი, ბადრი კვარაცხელია გაწვრთნის.

კვარაცხელიას ქართული კლუბებიდან ბოლნისის სიონსა და ცხინვალში უმუშავია. მანამდე კი, აზერბაიჯანული კლუბების – სუმგაითის, გაბალასა და თურანის მთავარი მწვრთნელიც იყო. კვარაცხელიას საფეხბურთო კარიერის დიდი ნაწილიც აზერბაიჯანში აქვს გატარებული და იქაურ ნაკრებშიც უთამაშია.

მოგეხსენებათ, ეროვნული ლიგის გასული 5 ტურის შემდეგ სამტრედია 10 გუნდში 3 ქულით ბოლო ადგილზეა.

იუვენტუსი გაძლიერებაზე ფიქრობს

ბოლო წლებში ტურინის იუვენტუსი ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე მისვლას ახერხებდა, მაგრამ იქ უკვე არაფერი გამოსდიოდა. ტურინელი კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გუნდი კიდევ უფრო მოაძლიეროს, რათა შედეგი მიიღოს.

განსაკუთრებით საინტერესო ამბები ვრცელდება იუვენტუსის წინა ხაზთან დაკავშირებით.

ბიანკონერი მაქსიმუმს იზამს გუნდში ენტონი მარსიალის მოსაყვანად. ასევე ქვეყნდება ცნობები პაულო დიბალასთან დაკავშირებით. ტურინელები მზად არიან, 120 მილიონიანი წინადადების შემთხვევაში არგენტინელს წასვლის საშუალება მისცენ, ხოლო გუნდის ახალი 10-იანი ფედერიკო ბერნარდესკი გახდება.

სანაცვლოდ ფაბიო პარატიჩი მადრიდიდან ანტუან გრიზმანის გადმობირებას ეცდება, რომელიც აღარ აპირებს ატლეტიკოსთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას. ფრანგს უკვე არაერთხელ აქვს პრესის წინაშე ნათქვამი, რომ დიდი ალბათობით მიმდინარე სეზონი სიმეონეს კრებულში მისთვის უკანასკნელი იქნება.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ პარატიჩი უკვე დაუკავშირდა ალვარო მორატას საფეხბურთო აგენტს და მოლაპარაკებები დაიწყო მისი კლიენტის ტურინში დაბრუნებასთან დაკავშირებით. მორატა ჩელსიში თავს არაკომფორტულად გრძნობს და მზად არის დაბრუნდეს იქ, სადაც მის შესაძლებლობებს კარგად იცნობენ.

შედეგები

9 აპრილი
ფეხბურთი

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვილიარეალი-ბილბაო 1:3

სატუნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	31	24	7	0	79-16	79
2.ატლეტიკო	31	20	8	3	51-15	68
3.ვალენსია	31	20	5	6	59-31	65
4.რეალი	31	19	7	5	77-34	64
5.ბეტისი	31	15	4	12	52-53	49
6.ვილიარეალი	31	14	5	12	41-37	47
7.სევილია	31	14	4	13	39-50	46
8.ხირონა	31	12	8	11	44-48	44
9.სელტა	31	12	7	12	50-43	43
10.ეიბარი	31	11	7	13	36-45	40
11.ხეტაფე	31	10	9	12	35-30	39
12.ბილბაო	31	9	12	10	33-35	39
13.სოსიედადი	31	10	7	14	56-52	37
14.ესპანიოლი	31	8	12	11	26-38	36
15.ლეგანესი	31	10	6	15	26-39	36
16.ალავესი	31	11	2	18	28-45	35
17.ლევანტე	31	6	13	12	28-45	31
18.დეპორტივო	31	5	8	18	29-63	23
19.ლას პალმასი	31	5	6	20	22-63	21
20.მალაგა	31	4	5	22	19-48	17

გერმანია. ბუნდესლიგა

ლაიპციგი-ლევერკუზენი 1:4

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	29	23	3	3	76-21	72
2.შალკე	29	15	7	7	45-33	52
3.დორტმუნდი	29	14	9	6	57-39	51
4.ლევერკუზენი	29	12	9	8	51-36	48
5.აინტრახტი	29	13	7	9	40-33	46
6.ლაიპციგი	29	13	7	9	44-41	46
7.ჰოფენჰაიმი	29	11	10	8	53-42	43
8.გლადბახი	29	11	7	11	38-43	40
9.შტუტგარტი	29	11	5	13	26-34	38
10.ჰერტა	29	8	12	9	33-34	36
11.აუგსბურგი	29	9	9	11	38-40	36
12.ვერდერი	29	9	9	11	33-35	36
13.ჰანოვერი	29	9	8	12	37-43	35
14.ფრაიბურგი	29	6	12	11	26-48	30
15.ვოლფსბურგი	29	5	14	10	30-37	29
16.მაინცი	29	6	9	14	30-47	27
17.ჰამბურგი	29	5	7	17	23-46	22
18.კიოლნი	29	5	6	18	28-56	21

იტალია. სერია ბ

აველინო-პერუჯა 2:0

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-ნანსი 1:1

ჰოლანდიელ. პრემიერ ლიგა

მორეირენშე-ბოავიშტა 1:0

თურქეთი. სუპერლიგა

გენჩლერი-გალათასარაი 1:0

უკრაინა. პრემიერლიგა

კარპატი-ზვეზდა 2:1

დანია. სუპერლიგა

მიდტიულანდი-კოპენჰაგენი 3:2

შვედეთი. ალსვენსკა

ბრომაპოიკარნა-ჰაკენი 2:0

მალმიო-აიკი 1:1

ნორვეგია. ელიტსერია

ლილესტრომი-სტარტი 1:0

თორნიკე შენგელია: „ჩემი შვილებიც კალათბურთით არიან დაინტერესებული“

ყველაზე პრესტიჟული საკალათბურთო ტურნირი ევროლიგაა, რომლის 8 საუკეთესო კლუბს შორის ესპანური ბასკონია და მისი კაპიტანი თორნიკე შენგელია მოხვდნენ. გუნდისა და ქართველის კარგი თამაში უყურადღებოდ არ დარჩენიათ ჟურნალისტების და ევროლიგის ვებგვერდზე ჩვენებურის ინტერვიუ გამოქვეყნდა.

მეხუთე სეზონი ევროლიგაზე, მეოთხე – ბასკონიას ფორმით. თორნიკე შენგელია თავისი კარიერის საუკეთესო შედეგს აფიქსირებს. გასული თვე მისთვის საუკეთესო იყო – შენგელია სათანადოდ იქნა აღიარებული და ევროლიგის მარტის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა.

როდესაც მარტი დაიწყო, ბასკონია 10 მოგებითა და 13 მარცხით მეცხრე ადგილზე იყო, მას 2 მოგება აშორებდა საფლეიოფო ზონამდე, წინ კი 7 ტური იყო, თუმცა ზედიზედ 6 მოგებული შეხვედრის შემდეგ, არათუ საფლეიოფო ზონაში შევიდა, არამედ უფრო მაღალ პოზიციაზე დასრულების შანსიც გამოიყენა.

შენგელიამ მარტის თვე შესანიშნავი შედეგით დასრულა: საშუალოდ 10,8 ქულა, 6,6 მოხსნა და 2,8 პასი. მისი ნასროლი ბურთებიდან 63,6% შედეგიანი აღმოჩნდა.

ცნობილი საკალათბურთო ოჯახის წევრს საქართველოდან, ევროლიგის 28 თამაშში საშუალოდ 13,8 ქულა, 6,4 მოხსნა ჰქონდა. შენგელია მეოთხეა სარგებლიანობის კოეფიციენტით (18,8), ხოლო მეორე მაჩვენებელი აქვს მოხსნებში.

– გილოცავ ევროლიგის მარტის თვის საუკეთესო კალათბურთელის ტიტულს. ბასკონია იყო პირველი გუნდი, რომელმაც 6 თამაში მოიგო 1 თვეში. რას ნიშნავს ეს ჯილდო შენთვის?

– დიდი მადლობა. ეს ბევრს ნიშნავს ჩვენთვის. ეს გვაძლევს მეტ ნდობას, როგორც გუნდს. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ შეგხვდება ფლეიოფში, მათ პატივისცემა მართებთ ჩვენ მიმართ. განსაკუთრებით, როდესაც შინ ვთამაშობთ. ეს არის ყველაზე პოზიტიური.

– მარტში შესანიშნავად გაუძეხი გუნდს ევროლიგის ფლეიოფისკენ. როგორი დამაკმაყოფილებელია ის შენთვის, პირადად და გუნდისთვის?

– რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ეს სეზონი რთული იყო ჩვენთვის. განსაკუთრებით ზედიზედ რამდენიმე წაგების შემდეგ და კალენდარი არც ადვილი იყო. ბევრს არც სჯეროდა, რომ ამას შევძლებდით, მაგრამ ჩვენ ვიბრძოლეთ ამისთვის და არ დავნებდით. ახლა კი ჩვენ ვართ ევროლიგის საუკეთესო 8 გუნდში, რაც შესანიშნავია ჩვენთვის, გულშემატკივრებისა და ქალაქისთვის.

– ბასკონია არის გუნდი, რომელმაც მოახერხა ფლეიოფში გასვლა 4-წაგებიანი სტარტის შემდეგ. როგორ მოახერხეთ სიტუაციის შემობრუნება?

– მწვრთნელმა გასაოცარი სამსახური გაწია. მან შეცვალა ჩვენი აზროვნება და ახსნა არ უნდა იმას, რომ პედრო მარტინესმა დიდი გავლენა მოახდინა იმაზე, რაც გუნდში მოხდა. მოთამაშეები სიამოვნებას ვიღებდით როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში. ჩვენ დავიწყეთ სიამოვნების მიღება თამაშისგან. ყოველი მოგებული თამაში გვაძლევდა მეტ პოზიტივს გასახდელში და პარკეტზე, რაც არის ჩვენი შედეგის მიზეზი.

– შენ იმაზე მეტ ბურთს ხსნიდი, ვიდრე ოდესმე და კარიერის საუკეთესო მაჩვენებელიც დააფიქსირე ხიმკისთან (15). ეს ის არის, რაც გონებაში გქონდა და მუშაობდი შენს თავთან ყოველი სეზონის შემდეგ?

– ჩემთვის მნიშვნელოვანი არ იყო მოხსნებზე მევარჯიშა, ვმუშაობდი ჩემს ფიზიკურ მონაცემებზე და შევცვალე ჩემი აზროვნება. მე ვცდილობდი. მომეხსნა რაც შეიძლებოდა მეტი ბურთი და მე მეძლეოდა უფრო მეტი სათამაშო დრო, ვიდრე გასულ წლებში.

– ბასკონიაც და ქართველი მოთამაშეებიც ცნობილნი არიან თავისი ხასიათით. როგორია იყო ლიდერი გუნდისა, რომელიც ცნობილია თავისი ხასიათით?

– ქართველი ამ გუნდისთვის არის იდეალური კომბინაცია. ჩვენ ვთამაშობთ აგრესიულად, სხვადასხვა ხასიათით ყველა თამაშში. მე მინდა დარწმუნებული ვიყო, როდესაც სხვა გუნდი ჩამოვა, არ იფიქრონ, რომ ადვილი თამაში ელით და მათ დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რომ მოგვიგონ. ეს არის ჩვენი აზროვნება.

– შენ ცნობილი საკალათბურთო ოჯახიდან ხარ. მამა, კახა არის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი ქართული კალათბურთის ისტორიაში. როგორ გეხმარებოდა, რომ გამხდარიყავი ისეთი, როგორიც ახლა ხარ? ახლაც გაძლევს რჩევებს?

– დიახ, მამაჩემი ძალიან მეხმარებოდა. განსაკუთრებით კარიერის სტარტზე, მაგრამ უფრო მეტად აზროვნებაში, რომ გავმხდარიყავი მებრძოლი ხასიათის, რაც მიბიძგებს იმისკენ, რომ არასდროს დავნებდე და ვიბრძოლო ბოლომდე. მივიღე ბევრი რჩევა ჩემი მშობლებისგან, რადგან ისინი უყურებენ ჩემს თამაშებს. შეხვედრის შემდეგ, როდესაც მირეკავენ, ისინი მელაპარაკებიან ამის შესახებ და რაიმე თუ არის, რისი გაუმჯობესებაც შეიძლება, ყოველთვის განიხილავენ.

– გყავს 2 შვილი, ერთ-ერთი ვიტორიაში დაიბადა. დაინტერესებული არიან კალათბურთით? შენგელიების მესამე თაობაც გაჰყვება საკალათბურთო გზას?

– ისინი დაინტერესებული არიან კალათბურთით და, საბედნიეროდ, ამ გზას ადგანან. მე ვაპირებ დავეხმარო ყველაფრით, რითიც შემეძლება. ისინი 3 და 2 წლის არიან, ასე რომ, ჯერ მათთვის ყველაფერი გართობისთვისაა.

– როგორი პოპულარულია ევროლიგა შენს ქვეყანაში? არის თუ არა შენი ერთ-ერთი ოცნება, რომ ევროლიგის გუნდი ქართველებისგან შედგებოდეს?

– ეს არის ჩემი ერთ-ერთი დიდი ოცნება. ვიმედოვნებ, ეს ერთ დღეს მოხდება. ევროლიგა ყოველ წელს უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ევროლიგის თამაშების სატელევიზიო ჩვენებები, განსაკუთრებით ბასკონიისა და უნიკახას, რადგან გიორგი შერმადინი თამაშობს მათთან, ხდის უფრო პოპულარულს ყოველ წელს.

მოჭიდავეთა მეხუთე ადგილი

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა აშშ-ის ქალაქ აიოვა სიტიში დასრულებულ მსოფლიო თასზე 8 მონაწილეს შორის მე-5 ადგილი დაიკავა.



აღსანიშნავია, რომ მსოფლიო თასის გამარჯვებული და მთავარი ფავორიტი ირანის გუნდი, საკუთარი სურვილით არ ჩავიდა აშშ-ში. ირანმა ტურნირის ბოიკოტირება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ, ამ ქვეყანაში წელს (აპრილში) დაგეგმილი, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს თასის ჩატარება გადაიფიქრა. ტურნირში მონაწილეობა ვერ მიიღეს რუსებმაც, რომელთაც სანქციების გამო ამერიკაში ვიზები არ მისცეს.

ასეთ შემთხვევაში მე-5 ადგილი დამაკმაყოფილებელიც არ უნდა იყოს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრები ამერიკაში გადახალისებული შემადგენლობით იყო წასული, რადგანაც ლიდერები თვის ბოლოს დაგეგმილი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

შედეგად, ხალიჩაზე თეიმურაზ ვანიშვილი (57კგ), ლაშა ლომთაძე (61), მაგომედ საიდოვი (65), ლევან ქელეხსაშვილი (70), ტარზან მაისურაძე (74), ტარიელ გაფრინდაშვილი (79), დავით ხუციშვილი (86), დავით მარსაგიშვილი (92), გივი მაჭარაშვილი (97) და ზვიად მეტრეველი (125) გავიდნენ.

ქართველი მოჭიდავეები ა ჯგუფში მოხვდნენ და პაექრობა აშშ-ის, იაპონიისა და მონღოლეთის ნაკრებებთან მოუწიათ, ბ ჯგუფში კი აზერბაიჯანი, ყაზახეთი, კუბა და ინდოეთი იყვნენ.

საქართველოს ნაკრები პირველ ტურში იაპონიას დაუპირისპირდა და 3:7 დამარცხდა (თავიანთი ორთაბრძოლები მოიგეს დავით მარსაგიშვილმა (92), გივი მაჭარაშვილმა (97) და ზვიად მეტრეველმა (125), მეორეში ინდოეთს 8:2 სძლია (თეიმურაზ ვანიშვილმა (57), ლევან ქელეხსაშვილმა (70), ტარზან მაისურაძემ (74), ტარიელ გაფრინდაშვილმა (79), დავით ხუციშვილმა (86) (მარსაგიშვილმა, მაჭარაშვილმა და მეტრეველმა), მესამეში კი აშშ-სთან 2:8 წააგო (მოიგეს მხოლოდ ლაშა ლომიძემ (61) და მარსაგიშვილმა). შედეგად, ქართველ მოჭიდავეებს ჯგუფში მე-3 ადგილი ერგოთ, პლეიოფში ბ ჯგუფის ასევე მესამეადგილოსან მონღოლეთს გაეჯიბრნენ და 6:4 მოიგეს (მოიგეს მაგამედ საიდოვმა (65), ქელეხსაშვილმა, მაისურაძემ, გაფრინდაშვილმა, მარსაგიშვილმა და მაჭარაშვილმა). როგორც ხედავთ, 92 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე დავით მარსაგიშვილი ერთადერთი ქართველია, ვინც ოთხივე შეხვედრაში იმარჯვა, თანაც ისე, რომ ქულა არ დაუკარგავს.

მე-7 საფეხურისთვის მატჩში ყაზახეთმა ინდოეთს 10:0 სძლია, მე-3 ადგილი იაპონიას ერგო, რომელმაც კუბას 6:4 აჯობა, ტურნირის ჩემპიონი კი აშშ გახდა. მასპინძლებმა აზერბაიჯანი 6:4 დაამარცხეს და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 2003 წლის მერე პირველად ერგოთ.

მოამზადა მისეულ ყორეოლიანმა

მსოფლიო რაგბიმ ბელგია-ესპანეთის გადათამაშება მოიფიქრა

მსოფლიოს რაგბის გადაწყვეტილებით, ბელგიისა და ესპანეთის მორაგბეთა ეროვნული ნაკრებების სკანდალური მატჩი გადათამაშდება.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული დაპირისპირება 18 მარტს შედგა და დიდი აურზაურიც გამოიწვია. ესპანელებმა აღნიშნული შეხვედრა 10:18 წააგეს, რამაც 2019 წლის მსოფლიო თასის საგზური რუმინეთს მოუტანა.

თუმცა, შეხვედრას სწორედ რუმინელი მსაჯი ვლად იორდეკესკუ სჯიდა, რომელმაც ესპანეთი აშკარად დაჩაგრა და ამით თანამემამულეთა საქმე გააკეთა. ესპანელმა მორაგბეებმა იორდეკესკუს ქმედება თამაშის დასრულებისთანავე გააპროტესტეს და მიკერძოებულ რეფერის ხელითაც კი შეეხნენ, პირინეელთა რაგბის ფედერაცია კი ყველანაირად ცდილობდა, სამართალი ეპოვა. საბოლოოდ, მსოფლიო რაგბიმ სწორედ მათი მხარე დაიჭირა და მიიღო ბელგია-ესპანეთის მატჩის გადათამაშების გადაწყვეტილება.

მსოფლიო რაგბისვე გადაწყვეტილებით, ცალკე იქნება განხილული იმ ესპანელი მორაგბეების დისკვალიფიკაციის საკითხი, რომლებმაც რუმინელი მსაჯის მიმართ უპატივცემულობა გამოავლინეს.

აღნიშნული შეხვედრის გადათამაშების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება რაგბი ევროპამ უნდა გამოიტანოს. მიუხედავად იმისა, რომ რაგბი ევროპას შეფი რუმინელია, ძნელი სავარაუდოა, რომ ეს ორგანიზაცია მსოფლიო რაგბის წინააღმდეგ წავიდეს და რეკომენდაცია არ გაითვალისწინოს.

მთვრალი მამაკაცი ნიანგების აუზში ჩახტა და გადარჩა

ზიმბაბვეს ქალაქ ვიქტორია-ფოლსში მთვრალი დამსვენებელი ჩახტა აუზში, რომელშიც სამი ნიანგი დაცურავდა.

21 წლის ზამბიელი ქალაქში მეგობრის ქორწილზე იყო ჩასული. საკმაოდ შეზარხოშებულმა ახალგაზრდამ რესტორნის სამზარეულოში შეაღწია, შემდეგ ფანჯარაში გადაძვრა და აუზში გადახტა, რომელშიც ტურისტების მისაზიდად სამი ორმეტრიანი ნიანგი ჰყავდათ გაშვებული.

ერთ-ერთი მტაცებელი ახალგაზრდა მამაკაცს მარცხენა ხელში ჩააფრინდა, ხოლო მეორემ პირი თავში სტაცა. ზამბიელს ორი ადგილობრივი მცხოვრები მიეშველა. ისინი ვოლიერში შევიდნენ, მომენტით ისარგებლეს და ახალგაზრდა წყლიდან ამოათრიეს.

რეპტილიებმა მამაკაცს ნეკნები ჩაუმტვრიეს და თავზე ჭრილობები მიაყენეს. გარდა ამისა, მან დაკარგა ხელი. თვითმხილველების აზრით, ამან ის გადაარჩინა: ნიანგებმა მას თავი ანებეს და მოგლეჯილი კიდურისთვის ბრძოლა დაიწყეს.

დაშავებული სამკურნალოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გადაიყვანეს. ექიმების შეფასებით, მისი მდგომარეობა სტაბილურია. ქორწილი ამ შემთხვევის გამო არ გადადებულა და ის, რა თქმა უნდა, ზამბიელის გარეშე ჩატარდა.

გენტი ჩაკვეტაძეს ჯერ არ გაყიდის

ბელგიურ ვებგვერდებზე გამოქვეყნდა გენტის მენეჯერისა და ტექნიკური დირექტორის მიხაელ ლუვაგის კომენტარი, სადაც გიორგი ჩაკვეტაძეზე საუბრობს.

მიხაელ ლუვაგი:

– გენტს შეუძლია გიორგი ჩაკვეტაძე 2 წლით შეინარჩუნოს. რა თქმა უნდა, ის მომავალ სეზონშიც ჩვენს რიგებში დარჩება. ჩვენ ჩემპიონობისთვის გვსურს ბრძოლა და არ შეიძლება ყოველ წელს გუნდის საუკეთესო მოთამაშეები გაუშვა. ყველაფერი ფული არაა და გიორგი ჩაკვეტაძე კლუბს არ დატოვებს. ის მხოლოდ 18 წლისაა და ჩვენ მისი კარიერის გეგმა უნდა დავსახოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩაკვეტაძე გენტში კიდევ 2 წელი უნდა დავტოვოთ და როდესაც 20 წლის გახდება, მაშინ შეუძლია წავიდეს.

შეგახსენებთ, რომ ჩაკვეტაძემ ბელგიას გასულ წელს მიაშურა, მართალია, დიდი სათამაშო პრაქტიკა არ აქვს, მაგრამ მასზე დიდ იმედებს ამყარებენ.

ჩაკვეტაძის ეიმედება საქართველოსაც – 18 წლის ფეხბურთელს უკვე ჰქონდა დებიუტი ეროვნულ გუნდში, სადაც გოლის გატანაც მოახერხა ლიტველთა კარში.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

გოგონამ ვეფხვს ჯოხით სცემა

ინდოეთის მახარაშტრას შტატში 22 წლის ჯოხით შეიარაღებული გოგონა თავს დაესხა ვეფხვს, რომელიც მისი თხის გატაცებას ცდილობდა.

რუპალი მეშრამმა თხის კიკინი გაიგონა, სახლიდან გამოვარდა და დაინახა, რომ მის საყვარელ ცხოველს ვეფხვი დაესხა თავს. მან ჯოხს დასტაცა ხელი და მტაცებელს დაარტყა. ვეფხვმა თხას თავი ანება და გოგონას შეუტია. რუპალის დედა გაოგნებული დარჩა, როდესაც ვეფხვისგან თავდაღწეული დასისხლიანებული თავისი ქალიშვილი დაინახა.

– ვფიქრობდი, რომ ჩემი შვილი დაიღუპებოდა, – განაცხადა ქალმა. ის შვილის დასახმარებლად გარეთ გავარდა, რუპალი სახლში შემოიყვანა და კარი ჩაკეტა.

როგორც კი მათ თავი უსაფრთხოდ იგრძნეს, მაშინვე მეტყეველს დაურეკეს და მტაცებლის თავდასხმის შესახებ აცნობეს. შემთხვევის ადგილამდე მისაღწევად, მეტყეველს 30 წუთი დასჭირდა. იმ დროისთვის ვეფხვმა თხა დაგლიჯა და ადგილიდან გაუჩინარდა.

მტაცებელთან შერკინების შემდეგ რუპალის იარები დარჩა თავზე, წელზე, ფეხებსა და ხელებზე, თუმცა ისინი მისი სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ. გარდა ამისა, ვეფხვმა თათის სახეში დარტყმა მისი დედისთვისაც მოასწრო. ექიმის თქმით, გოგონას გაუმართლა, რომ მტაცებელმა არ უკბინა.

ფინეთში მამაკაცმა ბავშვი გააჩინა

ფინეთში დაფიქსირდა პირველი შემთხვევა, როდესაც ბავშვი მამაკაცმა-ტრანსგენდერმა გააჩინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ახალგაზრდა მამა ქალად იყო დაბადებული, შეიცვალა სქესი და შარშანწინ მიიღო ახალი პასპორტი, რომელშიც უკვე მამაკაცად ითვლება. ჩასახვისთვის მან ჰორმონალური თერაპია შეწყვიტა. ფეხმძიმობამ უპრობლემოდ ჩაიარა.

მშობლების თქმით, მშობიარობამდე ბიუროკრატიულ პრობლემებს გადააწყდნენ. კერძოდ, ელექტრონული სისტემები რეაგირებას არ ახდენდნენ და მამაკაცის ფეხმძიმობის ფაქტზე უარყოფითად რეაგირებდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თავში მაკრატელჩარჭობილი ჩინელი საავადმყოფოში ავტობუსით მივიდა

ჩინელმა ქალმა, რომელსაც თავში მაკრატელი ჰქონდა ჩარჭობილი, საავადმყოფომდე მისვლა დამოუკიდებლად მოახერხა და ოპერაციაც წარმატებით გადაიტანა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც შენ სიაოინი ჰუბეის პროვინციის ქალაქ სიანიანში მდებარე საკუთარი სახლის ბაღში ჩინური ცედრელის ფოთლებს აგროვებდა. 37 წლის ქალმა გადაწყვიტა, საჭმელად გამოსადეგი ფოთლები მცენარის წვეროში მოეჭრა და მას რომ მისწვდომოდა, ბაღის მაკრატელი ბამბუკის ჯოხზე დაამაგრა, მაგრამ ის გატყდა და ჩამოვარდნილი მაკრატელი მას თავში ჩაერჭო.

ქალმა სიმშვიდის შენარჩუნება შეძლო და თავის ოჯახთან ერთად ავტობუსით საავადმყოფოში გაემგზავრა. ექიმებმა ის რენტგენზე გასაშუქებლად გაგზავნეს. იქ გაირკვა, რომ მაკრატლის პირი თავში ოთხ სანტიმეტრზე იყო ჩასული.

ამის მიუხედავად, მას ქალისთვის სერიოზული ზიანი არ მიუყენებია, ის მხოლოდ მგრძნობელობის ნაწილობრივ დაკარგვას და ძილისკენ მიდრეკილებას უჩიოდა. მაკრატლის მთლიანად ამოსაძრობად ექიმებს ორი ოპერაციის გაკეთება დასჭირდათ.

ასტროპროგნოზი

11 აპრილისთვის

ვერძი – ეს დღე ხასიათდება როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ტენდენციებით. ჩანაფიქრს ნურავის გაანდობთ. ** კურო** – ერიდეთ კონფლიქტს როგორც სამსახურში, ისე ნათესავებთან. ახალი იდეების რეალიზაციისაგან თავი შეიკავეთ. **ტყუპები** – საქმიანი შეხვედრები უნაყოფო იქნება. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **კირჩხიბი** – ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას ლმობიერება და გულისხმიერება გმართებთ. იმოქმედეთ რაციონალურად. **ლომი** – დღის პირველი ნახევარი კეთილისმყოფელია. ნუ იქნებით ზედმეტად გულახდილი და ჭირვეული. **ქალწული** – საქმიანი კონტაქტები სხვა დროისათვის გადადეთ. შეინარჩუნეთ სიმშვიდე. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. კოლეგებთან ურთიერთობისას ერიდეთ მკვახე გამონათქვამებს. **ღრიანკალი** – აქტიური და ნაყოფიერი დღეა. გარშემომყოფებისგან სიმპათიასა და მხარდაჭერას გრძნობთ. **მშვილდოსანი** – ახალ ნაცნობობას მაქსიმალურად ერიდეთ. ნუ იაქტიურებთ. მიმნდობლობა რეკომენდებული არ არის. **თხის რქა** – სამსახურში პრობლემებს ელოდეთ. ხელმძღვანელობას თქვენი ექსცენტრულობა და აქტიურობა არ მოსწონს. **მერწყული** – თავს გაუფრთხილდით. ემოციები მოთოკეთ და პრობლემებს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. **თევზები** – ნებისმიერი წამოწყება წარმატებას მოგიტანთ. კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 2. ძველი ქართული დამწერლობა; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. საქართველოს თავდაცვის მინისტრი; 6. მოლაპარაკე ფრინველი; 8. ბურგუნდიული ღვინოების წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი საფრანგეთში; 11. უბანი სოხუმში; 12. ქართული მინერალური წყალი; 16. სამხედრო იარაღის მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ხილი, ნიუ იორკის სიმბოლო.

თარაზულად: 1. კუთხე საქართველოში; 5. გერმანელი მწერალი; 7. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 9. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 10. სესხად გაცემული თანხა; 13. ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა; 14. ბრმად თაყვანისცემის უსულო საგანი; 15. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 19. სამეგრელოსა და ლეჩხუმში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 20. მსახიობის პატივსაცემად გამართული სპექტაკლი, კონცერტი; 21. ქართველი ტყვიით მსროლელი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი; 22. ფულის ერთეული ერაყში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პაგანინი; 2. ონაგატა; 3. მძივი; 4. ერქვანი; 5. „მეეზოვე“; 10. ხონდრიტი; 11. თაყაიშვილი; 12. პროექტი; 15. პანიტერია; 16. ჩხოუში; 17. გამპერი; 20. დრაჟე.

თარაზულად: 6. საკანდელიძე; 7. დროზერა; 8. სპინოზა; 9. „ლინატე“; 13. „ლელო“; 14. „ჰამერი“; 18. პერინიონი; 19. „ვალიო“; 21. გრილი; 22. „მიმინო“; 23. ციხისძირი; 24. ტრაილერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რობაია; 2. ტრამპი; 3. ჩეფერინი; 4. ჰიმენე; 6. მალიორკა; 8. ანდები; 11. სიბარიტი; 12. უოტსონი; 16. ლობიო; 17. „ბასფი“; 18. დათვი.

თარაზულად: 1. როიტერი; 5. მოწმე; 7. თერაპია; 9. ატამანი; 10. კუპდარი; 13. ბარნელა; 14. ფინიკი; 15. „გოია“; 19. ქსენონი; 20. სამთავრო; 21. პორტვეინი; 22. ლიმანი.

ალექსანდრე ბეგალიშვილი მარშელებს აკრიტიკებს

მსახიობი ალექსანდრე ბეგალიშვილი „ქართული მარშის“ წევრებს სოციალურ ქსელში აკრიტიკებს და მოუწოდებს, პროტესტი იმ უმნიშვნელოვანეს თემებზე გამოთქვან, რაც ჩვენი სამშობლოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია:

– რამდენი შემოვიხედე ამ ფეისბუქზე, სულ ირანელების თემაა და როგორ წაგვლეკეს, იმაზეა ბაზარი... ხან მარში მოუწყვეს, ხან შტურმი და ხან ვალსი ბლინ... და რატო იმაზე არავინ იღებს ხმას, ეს ჩვენი მთავრობა ყოველდღე რომ ახალ და ახალ ინვესტიციებზე და ხელშეკრულებებზე აწერს ხელს არაფატკიან ტიპებთან ერთად და ამას ტელევიზიით სიხარულით და სიამაყით გვამცნობენ...

ოეეე, მარში ხართ თუ პოლკა მაზურკა... მიდით ერთი ბიძოს და მის ლაქიებს გაუმართეთ ეგ თქვენი ქართული სულისკვეთება... ტრაკი არ გაქვთ არა? მოგი..ანთ ყველა შოუ და ყველა შოუმენი, ვინც ხალხის დაბოლებას ცდილობს... ესაა ჩემი კომენტარი...

ზურაბ ანჯაფარიძის 90 წლის იუბილე მთელ საქართველოში აღინიშნება

12 აპრილი ცნობილი ოპერის მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის დაბადების და გარდაცვალების დღეა.

როგორც მისმა შვილმა ზურიკო ანჯაფარიძემ განაცხადა, ამ თარიღის აღსანიშნავად მამას მეგობრები, ოჯახის წევრები და გულშემატკივრები ოპერის ბაღში შეიკრიბებიან:

– 12 აპრილს მამას დაბადების და გარდაცვალების დღეა. ამ თარიღის აღსანიშნავად ვიკრიბებით ოპერის ბაღში. ამავე დღეს გაიმართება წიგნის პრეზენტაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წითელ ფოიეში. 15 აპრილს წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „ტურანდოტი“, რომელიც მამას მიეძღვნება. სპექტაკლს წარმოგვიდგენს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი. 19 აპრილს ქუთაისის მე-17 სამუსიკო სკოლაში გაიმართება ზურაბ ანჯაფარიძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. 20 აპრილს მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის საოპერო თეატრი წარმოგვიდგენს ოპერა „დაისს“, რომელიც ეძღვნება ზურაბ ანჯაფარიძის 90 წლისთავს. 22 აპრილს კი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუზეუმში ზურაბ ანჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართება.

თემურ წიკლაურმა ახალი სიმღერა ჩაწერა

მომღერალმა თემურ წიკლაურმა ახალი სიმღერა ჩაწერა და ის საქართველოსთვის ყველაზე მტკივნეულ თემებს, ოკუპაციას და სამშობლოსთვის შეწირულ გმირებს მიუძღვნა.

სიმღერის ავტორი დავით არჩვაძეა, ტექსტი პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა დაწერა, სიმღერა კი დავით უგრეხელიძის სტუდიაში ჩაიწერა.

სიმღერა ინტერნეტში უკვე გავრცელდა, მას ათასობით ნახვა, მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

დავით არჩვაძე:

– სიმღერა ეძღვნება ჩვენი ქვეყნის ძალიან ბევრ ტკივილიან თემას: ოკუპაცია, სამშობლოსთვის შეწირული გმირები და სხვა... მადლობა დიდ მომღერალს, ბატონ თემურ წიკლაურს ასეთი ემოციური შესრულებისთვის, უმთავრესი მადლობა ლექსის ავტორს თემურ ჩალაბაშვილს გენიალური ლექსისთვის და დავით უგრეხელიძეს და მის სტუდიას.

სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა სამძიმარს უცხადებს ამავე კათედრის პროფესორის ასისტენტს ნათია კახნიაშვილს დედის

ბელა ახობაძის

გარდაცვალების გამო.

გოგა აბულაძის ხსოვნას

ორმოცი ცრემლიანი დღე გავიდა, რაც მშობლებთან სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლე, ჩვენო საყვარელო, კეთილშობილო გოგა! გვენატრები!

ნათელში გამყოფოს უფალმა!

კუსუნა მზარელუა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯანსუღ კახიძის ცენტრში ევგენი მიქელაძის ორკესტრისთვის მიტანილი წერილი დახიეს

ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისთვის განკუთვნილი წერილი საქართველოს ფოსტამ შეცდომით ჯანსუღ კახიძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში მიიტანა. ცენტრში წერილი დახიეს და ადრესატს დანაკუწებული დაუბრუნეს.

ინფორმაცია ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირექტორმა ნინო ნახუცრიშვილმა გაავრცელა და დახეული წერილის ფოტო სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– მაპატიეთ ასეთი პოსტისთვის, განსაკუთრებით ბოდიშს ვუხდი ჩვენს კოლეგა მუსიკოსებს, რომელთაც იმ ორგანიზაციაში უწევთ მუშაობა, სადაც ასეთ საქციელს გამართლება აქვს!!!

ჰამბურგიდან დაბრუნებულს დამახვედრეს ინფორმაცია, რომ ელბფილარმონიიდან ფოსტით გამოგზავნილი ინსტრუმენტების ქირავნობის ორიგინალი საბუთი საქართველოს ფოსტამ შემთხვევით სხვა მისამართზე მიიტანა – ასევე აღმაშენებლის გამზირზე... გასაკვირი არაა, ვინაიდან ჩვენი უსახლკარობიდან გამომდინარე ველარ გაიგეს, სადაა ეროვნული მუსიკალური ცენტრი...

წერილი ჩაუბარებიათ, დაგვირეკეს, მოაკითხეთო და, აი, ასეთ მდგომარეობაში გადმოგვცეს!!!

ამას სიბოროტე აღარ ჰქვია – ეს კრიმინალია!

ის, რომ წერილი ჯანსუღ კახიძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში დახიეს, ოპერის მომღერალმა ანიტა რაჭველიშვილმა გაასაჯაროვა და ცენტრის წარმომადგენლებს ჯანსუღ კახიძის სახელის შემარცხვენელები უწოდა:

– ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი – ადამიანობა და კულტურა დაკარგული გაქვთ საერთოდ?! ჯანსუღ კახიძის სახელის შემარცხვენელი ადამიანები ხართ!

პოეტ გივი გეგეჭკორის არქივში აღმოჩენილი კრებული ფრანკფურტში გამოიფინება

ფრანკფურტში ქართული დამწერლობის გამოფენაზე პოეტ გივი გეგეჭკორის არქივში აღმოჩენილი კრებული გამოიფინება.

ხელნაწერი პოეტის ოჯახის წევრმა ირა ჭელიძემ ხელოვნების სასახლეს გადასცა.

გიორგი კალანდია, ხელოვნების სასახლის დირექტორი:

– ეს შესანიშნავი ხელნაწერი, ერთმა ოქრო გოგომ ირა ჭელიძემ საოჯახო რელიქვიებში აღმოაჩინა, მეუღლის მამას პოეტ გივი გეგეჭკორს ეკუთვნოდა, სახლში ჰქონდა, მაგრამ დიდხანს გულმა არ მოუთმინა და მუზეუმში მოიტანა.... ამით ხელნაწერი გარდაუვალ გაფუჭებას გადარჩინა, მუზეუმის კოლექცია გაამდიდრა და წინაპრის ხსოვნას საქმით მიაგო პატივი. ხომ ხედავთ, ერთმა კარგმა ამბავმა რამდენი კეთილი შედეგი დადო.

ეს ხელნაწერი დაწვრილებით შეისწავლეთ, სავარაუდოდ მე-19 საუკუნით თარიღდება, მინიატურულია და არაკანონიკურ ლოცვებსაც შეიცავს, მაგალითად, „ფიქრის ლოცვას“. ამით ის უნიკალურობას იძენს და მეცნიერებისათვის უფრო საინტერესო ხდება!

რამდენიმე დღის წინ ჩვენმა ფოტოგრაფმა ფრანკფურტის ფოტოსესიისათვის მოამზადა და საბოლოოდ ისეთი ლამაზი გამოვიდა, რომ ახლა კატალოგის ყდაზე ვფიქრობთ მის მოთავსებას....

ასე რომ, ეს პატარა კრებული მალე ევროპას მოხიბლავს და ჩვენი დიდი სამწერლობო ტრადიციების შესახებ თავის წილს მოუთხრობს.

ბიბისის ახალი სერიალის ტრეილერში ქართული შრიფტი გამოჩნდა

ტელეკომპანია ბიბისიმ ახალი სერიალი გადაიღო, რომლის ტრეილერიც ქართული შრიფტით არის გაფორმებული. სერიალი ცნობილი ბრიტანელი მწერლის ჩაინა მიევილის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით შეიქმნა. ავტორს მოგებული აქვს არაერთი საერთაშორისო ლიტერატურული კონკურსი და მკითხველში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

როგორც ჩანს, ბიბისი ქართული შრიფტით უბრალოდ მოიხიბლა, რადგან ინგლისურენოვან ტექსტზე დადებული ქართული ფონტი არანაირად არ ემთხვევა თარგმანს.

აღნიშნული ფაქტი გივი მებუკემ გააპროტესტა და სერიალის შემქმნელებს მოკლე რჩევა მისცა:

– კარგია, რომ მოსწონთ ჩვენი ფონტი, მაგრამ ვინმემ აუხსნას სიტყვების მნიშვნელობა და ის, რომ ქართულია... თორემ პედოფილური ტექსტები აქვთ დასაწყისშივე...

ქართველი მომღერლები უფასო კონცერტს გამართავენ

13 აპრილს 9 აპრილის (ყოფილი ალექსანდრეს) ბაღში ქართველი მომღერლები სააღდგომო კონცერტს გამართავენ.

ღია ცის ქვეშ შეკრებილი მსმენელისთვის იმღერებენ ნინო ქათამაძე, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, მარიამ როინიშვილი, ზვიად ბოლქვაძე, შეკრებილი აუდიტორიისთვის დაუკრავენ გიორგი ცაგარელი, კორდი, ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით, საღამოს გაუძღვებიან ნიკოლოზ წულუკიძე და ბახვა ბრეგვაძე.

სააღდგომო კონცერტზე დასწრება ყველა მსურველისთვის თავისუფალია.

შუშანა ყაზარაშვილი „მხოლოდ ქართულის“ ფავორიტია

მუსიკალური შოუ „მხოლოდ ქართული“ მაყურებელს იმ კონკურსანტებს აცნობს, რომლებსაც სჯერათ, რომ ქართულ სიმღერებს ყველაზე კარგად მღერიან და პროექტში მონაწილეობის ღირსნიც არიან.

იმერეთის, ქართლის და კახეთის შესარჩევი ტურების ეთერში გასვლის შემდეგ, პროექტის ფავორიტი გორელი შუშანა ყაზარაშვილი გახდა, რომელიც ინტერნეტმომხმარებლებისთვის აქამდეც კარგად იყო ცნობილი.

შუშანამ ჟიურის წინაშე სიმღერა შეასრულა და განაცხადა, რომ ძველი სიყვარულის დაბრუნება სურდა. სამწუხაროდ, გორელი კონკურსანტი ჟიურის წევრებმა მარინა ბერიძემ, სოფო ნიჟარაძემ და გიორგი უშიკიშვილმა პროექტს მიღმა დატოვეს, თუმცა შუშანამ ბევრი გულშემატკივარი გაიჩინა. სამწუხაროდ, ბევრმა მას დასცინა, რაც ადამიანების ნაწილის გაღიზიანების მიზეზი გახდა.

მაგდა ჯოხაძე, მომღერალი:

– შუშანა ფილოსოფიის გამოცდის ჩასაბარებლად არ მისულა, ეს ქალბატონი „მხოლოდ ქართულში“ მივიდა იმ ნიჭის გამოსავლენად, რომელიც უდავოდ აქვს. ვინმეს ქვა ესროლა?! რამ გადაგვაშენა, რამ გადაგვაგვარა ადამიანები?! წრფელი, ალალი, თუნდაც ასე გრძნობით ნამღერი რატომ არის აბუჩად ასაგდები? ვკითხულობ კომენტარებს და გაოცებული ვარ რიგი ადამიანების კომენტარებზე. შუშანა... რომელი ვართ ამ ადამიანზე უკეთესი? უკეთ ვიცვამთ, უკეთ ვიკვებებით და უკეთ ვართ შენიღბული, ვითომ გულმოწყალე და სიკეთის ნიღბით? თუმცა ეს მასაზე ნამდვილად მუშაობს... პერო არ მოგძვრეთ! ოღონდ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ნიღაბი გვძვრება და ერთმანეთის ხორცის ჭამით ვართ დაკავებული. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ვაი ერო! ერთმანეთის სიყვარული ვისწავლოთ ისეთების, როგორებიც ვართ და მხოლოდ ამის შემდეგ შევდგებით ღირსეულ ერად.

შუშანას გამოეხმაურა **მამა პეტრე კოლხიც,** მამამ მას ლექსი მიუძღვნა და მას კეთილი და ნიჭიერი უწოდა:

– ჩემი შუშანა, ჩემი კეთილი და ნიჭიერი... რაც მთავარია, პირველ რიგში ადამიანი, რომელიც არავის სტკენს გულს... ის ჩემი ერთგული მეგობარია... ძალიან მალე შუშანას საღამოს ჩავატარებ თბილისში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შოტლანდიელმა ექსტრასენსმა თვითმარქვია მკითხავს პოლიციაში უჩივლა

შოტლანდიელმა მედიუმმა პოლიციას მიმართა საჩივრით თვითმარქვია-მკითხავის წინააღმდეგ, რომელიც კლიენტებთან მისი სახელით სოციალურ ქსელში ურთიერთობს.

მორინ სმიტი უკვე ოცდაათი წელია შემოსავალს სპირიტული სეანსებით იღებს, ანუ კლიენტების „გარდაცვლილ ნათესავებთან“ ურთიერთობით. მან აღმოაჩინა, რომ ვიღაც მის სახელს იყენებდა, მაშინ როდესაც, მის მეუღლეს შეტყობინება თვითმარქვიასგან მისი სახელით მიუვიდა. ცრუ სმიტმა მას შესთავაზა, მისთვის ათი ფუნტი გადაეხადა მომავლის წინასწარმეტყველების სანაცვლოდ.

– რა თქმა უნდა, მან იცოდა, რომ ეს გზავნილი ჩემგან არ იყო და, საერთოდ, მე ინტერნეტით კონსულტაციას არ ვახორციელებ. ამან ძალიან შემაშფოთა, – განაცხადა სმიტმა.

კლიენტებთან საუბრით ექსტრასენსმა გამოარკვია, რომ თვითმარქვია ბევრ მათგანს წერდა, ტელეფონით კონსულტაციას სთავაზობდა და საკრედიტო ბარათების მონაცემების გაზიარებას სთხოვდა.

– ძალიან მაშინებს ის, რომ ვიღაც თაღლითი ჩემი სახელით მიმოწერას ახორციელებს და ამით სურდა, ჩემი წლებით მოპოვებული რეპუტაცია დაენგრია, – დაამატა ქალმა. მან ყველა თავის ხელმომწერს გაფრთხილება დაუგზავნა და დახმარებისთვის პოლიციას მიმართა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 აპრილისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4011

ევრო — 2.9474

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.375

100 რუსული რუბლი — 4.1707

ამინდის პროგნოზი 11 აპრილისთვის

5 აპრილიდან

150 ამბავი ნობელიანტი ფიზიკოსები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



29 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი მუუდრო აგარაკის საიდუმლოება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

3 აპრილიდან

79 ამბავი ზვიად გამსახურდია

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

94 წლის ხმადაკარგული მილიარდერი ხელქვეითებს iPad-ით აგინებს

მედიამაგნატი, რომელიც კონგლომერატ Viacom-ის მფლობელია, სულ რამდენიმე ნაკლები სირთულის ფრაზით შემოიფარგლება. მის გაჯეტში სწრაფად მისაწვდომ განყოფილებაში დაყენებულია ფრაზები: „დიახ“, „არა“ და „წადი შენი...“

ამ დროისთვის მიმდინარეობს მსჯელობა Viacom-ისა და კორპორაცია CBS-ს შერწყმის თაობაზე. ამ მსჯელობის დროს სარგებლობდა თუ არა რედსტოუნი თავისი ელექტრონული დამხმარეთი, უცნობია.

2016 წელს ლოს-ანჯელესის სასამართლომ რედსტოუნი ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გაგზავნა. ეს მას შემდეგ გაკეთდა, როდესაც ამერიკელის ყოფილმა მეგობარმა გოგონამ მანუელა ჰერზერმა განაცხადა, რომ ის არაქმედითუნარიანია.

რედსტოუნი მედიაკომპანია Viacom-ის მმართველობის თავმჯდომარეა, რომელშიც შედის საკაბელო და თანამგზავრული ქსელები MTV და Networks-ი. ის ასევე ფლობს კინოთეატრების ოპერატორ National Amusements-ს და CBS-ს და Paramount-ის საკონტროლო პაკეტს. ბიზნესმენის ქონება 5,1 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

იაპონელი საყვარელი მომღერლის თვალწინ ჰარაკირის გაკეთებას შეეცადა

იაპონელი შეეცადა ჰარაკირი პოპ-ვარსკვლავის თვალწინ გაეკეთებინა, რომლის თაყვანისმცემელიც ის თავად იყო.

48 წლის იაპონელი საგანგებოდ ჩავიდა ტაიბეიში, რათა ტაივანელი პოპ-ვარსკვლავის დორის ბოლო კონცერტი ენახა. მანამდე მომღერალმა კარიერის დასრულების თაობაზე განცხადება გააკეთა, ასევე განაცხადა, რომ ინტერნეტში აღარ განაახლებდა საკუთარ გვერდებს და თაყვანისმცემლების წინაშე ცოცხლად გამოსვლასაც წყვეტდა.

კონცერტის შემდეგ მამაკაცი მომღერალს გაესაუბრა, შემდეგ კი შეეცადა მის თვალწინ თავი მოეკლა. ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელებაში მას ხელი იქ მყოფებმა შეუშალეს, ხოლო დორომ პოლიცია გამოიძახა. დაკითხვის დროს მამაკაცმა დამტვრეული ინგლისურით აღიარა, რომ ცნობამ დორის სცენიდან წასვლის შესახებ მასში დეპრესია და სუიციდზე ფიქრები გამოიწვია.

ინციდენტის შემდეგ მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჭრილობები, რომლის მიყენებაც მან საკუთარი თავისთვის მოასწრო, ღრმა არ აღმოჩნდა და მისი სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი არ იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ კარზე სექტანტები მომადგნენ და კეთილ საქმეებზე დამიწყეს საუბარი.

– შენ რა უპასუხე?

– ნაგვის გატანა შევთავაზე...

– მერე?

– მერე ეწყინათ და წავიდნენ.

•••

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რესპონდენტებს ერთსა და იმავე ფოტოსურათს აჩვენებდნენ, რომელზეც გამოსახული იყო გაშლილი სუფრა და მამაკაცი, რომელსაც თავი თეფშზე ედო და უსვამდნენ ერთსა და იმავე კითხვას:

– ეს რას უნდა ნიშნავდეს?

ყველამ უპასუხა:

– მოკვდა.

მხოლოდ ქართველმა უპასუხა:

– დათვრა!

•••

რუსი აგენტი ნაცნობ ბარში მეკავშირესთან შესახვედრად მივიდა და ბარმენს 100 გრამი არაყი შეუკვეთა.

– არაყი ჯერ კიდევ ორი დღის წინ გაგვითავდა, – უპასუხა ბარმენმა.

– მაშინ 100 გრამი კონიაკი.

– კონიაკი გუშინ საღამოს გაგვითავდა.

– მაშინ ლუდი მაინც დამისხით.

– სამწუხაროდ, ლუდი ამ დილით გაგვითავდა.

„ე.ი. მეკავშირე უკვე აქ არის“, – გაიფიქრა აგენტმა.

•••

ტელეფონი რეკავს:

– ალო, პოლიციაა?

– დიახ. რაშია საქმე?

– უცხოპლანეტელებმა გამიტაცეს.

– შენ რა, მთვრალი ხარ?

– ჰო, ასე დაემთხვა.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– როდესაც რუსულ შანსონებს ვუსმენ, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ციხე ყველაზე საოცარი ადგილია ამ სამყაროში.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ციხეში თურმე მხოლოდ განათლებული და ნიჭიერი ადამიანები სხედან, რომლებიც დედებზე უზომოდ არიან შეყვარებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

28 მარტიდან

130 ამბავი ლუდი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



რეალი ზაფხულში სალაჰის ყიდვას შეეცდება

მადრიდის რეალი ზაფხულში რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერის განხორციელებას აპირებს და მადრიდელების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ლივერპულის ეგვიპტელი ფორვარდი მოჰამედ სალაჰი იქნება, რომელიც წელს შესანიშნავ სეზონს ატარებს და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელია. სალაჰის ყიდვა სხვა გრანდებსაც სურთ, მაგრამ ლივერპული თავისი ლიდერის გაშვებას არ აპირებს და სალაჰი, სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე წელიწადი დარჩება ლივერპულში.

ლივერპულში გადასვლამდე სალაჰი იტალიური რომას ღირსებას იცავდა.

ტიბო კურტუას ტრიბუნიდან ხელოვნური პენისი ესროლეს

ჩელსის მეკარეს ტიბო კურტუას ვესტ ჰემის წინააღმდეგ თამაშში უცნაური რამ შეემთხვა. მას შემდეგ, რაც ვესტ ჰემმა კურტუას გოლი გაუტანა, ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ტრიბუნიდან ბელგიელ მეკარეს ხელოვნური პენისი ესროლა.

ამ ინციდენტთან დაკავშირებით კურტუას კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა ყველასთვის ცხადია, რომ ჩელსის გულშემატკივარი ტიბოს თამაშით უკმაყოფილოა და ისინი ამას უკვე აღარც მალავენ.

კურტუა წლევანდელ სეზონში არ გამოირჩევა სტაბილურობით და საკმაოდ ხშირად უშვებს ხოლმე უხეშ შეცდომებს.

ანდერ ერერამ მანჩესტერ სიტის გერბს დააფურთხა

მანჩესტერ იუნაიტედის ესპანელმა ფეხბურთელმა ანდერ ერერამ გასახდელში გასვლის დროს მანჩესტერ სიტის გერბს დააფურთხა და, ბუნებრივია, კამერებმა ეს დააფიქსირეს.

ამის გამო შესაძლოა ანდერ ერერა დისკვალიფიკაციით დასაჯონ, თუმცა ფეხბურთელი ამბობს, რომ მას საერთოდ არ შეუხედავს სიტის გერბისთვის და მისი განზრახვა არ იყო ამ გუნდის შეურაცხყოფა.

ინგლისის საფეხბურთო ფედერაცია ამ ფაქტს ყურადღებით შეისწავლის და ერერა, სავარაუდოდ, დაისჯება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ›



შვეულად: 1. ოფიცრის ჩინი; 2. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული წითელ წიგნში შეტანილი, კატისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 3. ალალბედზე მოქმედება; 4. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 5. განყოფილების სათაური გაზეთში, ჟურნალში; 10. ქვეწარმავალთა მეორე სახელწოდება; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 12. ისლანდიის პარლამენტი; 15. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 16. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. აეროპორტი ბელგრადში; 20. ფულის ერთეული ყაზახეთში.

თარაზულად: 6. მცდარი, მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი და შეხებითი აღქმა; 7. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 8. ქართლსა და კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 9. სწორკუთა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი; 13. იაპონური ბრინჯის არაყი; 14. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 18. ქართველი მხატვარი; 19. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 21. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 22. დაბალი, საამო ხმით მღერა; 23. ილია ჭავჭავაძის პოემა; 24. მითოლოგიური „მარადიული ურია“.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა